

ს/ს კორ სტანდარტ ბანკი

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების
სტანდარტებით შედგენილი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგებანი და დამოუკიდებელი
აუდიტის დასკვნა

31 დეკემბერი 2009

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	1
ადიარებული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
ნაერთი ანგარიშგება კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებზე	3
ფულადი სახსრების მიმოქცევის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმართ

1 შესავალი.....	5
2 ბანკის სამუშაო გარემო	5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4 სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები	12
5 ახალი ან გადამოწმებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.....	13
6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები.....	15
7 ფული და ფულადი ეკვივალენტები	18
8 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.....	18
9 საინვესტიციო საკუთრება	23
10 გუდვილი.....	23
11 შენიშვნები, მოწოდებლობა და არამატერიალური აქტივები.....	24
12 სხვა ფინანსური აქტივები, მათ შორის ანგარიშები აქციონერებისგან	25
13 სხვა აქტივები	26
14 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	26
15 კლიენტთა ანგარიშები	26
16 სხვა ფინანსური ვალდებულებები.....	27
17 სხვა ვალდებულებები	27
18 სუბორდინირებული ვალი	28
19 სააქციო კაპიტალი	28
20 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები.....	28
21 საკომისიო შემოსავალი და ხარჯები.....	29
22 სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	29
23 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	29
24 საშემოსავლო გადასახადები	30
25 ფინანსური რისკის მართვა	31
26 კაპიტალის მართვა	37
27 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები	37
28 ფინანსური დოკუმენტების სამართლიანი ღირებულება	38
29 ფინანსური დოკუმენტების პრეზენტაცია კატეგორიების მიხედვით	39
30 დაკავშირებულ მხარეთა ტრანსაქციები.....	40
31 შემდგომი მოვლენები	40

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს კორ სტანდარტ ბანკის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

- 1 ჩვენ ჩავატარეთ სს კორ სტანდარტ ბანკის და მისი შვილობილი კომპანიის (“ჯგუფი”) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კერძოდ კი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგების, მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

- 2 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და ისეთი სააღრიცხვო შეფასებების შემუშავებას, რომლებიც მისაღებია კონკრეტული ვითარებისთვის.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

- 3 ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება ადნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. ადნიშნული სტანდარტებით სავალდებულოა ეთიკური ნორმების დაცვა, ასევე აუდიტის იმგვარად დაგეგმვა და ჩატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას გარანტია, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

- 4 აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. ადნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემოწმებას, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

- 5 დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული რწმუნება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნის წარდგენისათვის.

დასკვნა

- 6 ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2010 წლის 3 ივნისი
ქ. თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ათას ლარებში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2009	31 დეკემბერი 2008
აქტივები			
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	7	33,515	37,820
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში		6,363	4,941
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8	137,153	84,728
საინვესტიციო ქონება	9	-	10,874
გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო აქტივი	25	-	1,200
გუდვილი	10	20,374	20,374
არამატერიალური აქტივები	11	11,798	12,621
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	11	19,271	11,644
სხვა ფინანსური აქტივები	12	18,164	22,638
სხვა აქტივები	13	769	1,022
მთლიანი აქტივები		247,407	207,862
ვალდებულებები			
სხვა ბანკებისადმი	14	11,845	1,815
კლიენტთა ანგარიშები	15	175,889	113,428
მიმდინარე საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულება		114	105
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	348	21,605
სხვა ვალდებულებები	17	354	1,429
სუბორდინირებული ვალი	18	8,485	8,391
მთლიანი ვალდებულებები		197,035	146,773
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	19	75,000	75,000
აკუმულირებული დეფიციტი		(24,628)	(13,426)
სხვა რეზერვები		-	(485)
მთლიანი კაპიტალი		50,372	61,089
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		247,407	207,862

დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2010 წლის 3 ივნისს.

გიორგი დლონტი
გენერალური დირექტორი
ხელმოწერილია

ზურაბ ჯავახიშვილი
ფინანსური დირექტორი
ხელმოწერილია

**სს “კორ სტანდარტ ბანკი”
საერთო შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

ათას ლარებში	შენიშვნა	2009	2008
საპროცენტო შემოსავალი	20	29,441	18,370
საპროცენტო ხარჯი	20	(14,152)	(9,345)
სუფთა საპროცენტო შემოსავალი		15,289	9,025
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	8	(8132)	(2,699)
საპროცენტო შემოსავალი		7157	6,326
საკომისიო შემოსავალი	21	3,952	2,739
საკომისიო ხარჯი	21	(2,545)	(1,460)
შემოსავლებს მინუს ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		1,591	518
სუფთა ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		(140)	(97)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	1,561	556
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(21,093)	(21,690)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,517)	(13,108)
საშემოსავლო საგადასახადო კრედიტი	24	(1,200)	1,677
წლიური ზარალი		(10,717)	(11,431)
მთლიანი სრულყოფილი წლიური ზარალი		(10,717)	(11,431)

ათას ლარებში	სააქციო კაპიტალი	რეზერვი	აკუმულირებული დეფიციტი	ჯამი
ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,000	-	-	16,000
კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორება	-	(2,480)	-	(2,480)
კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორების მოხსნა		1,995	(1,995)	-
სრულყოფილი წლიური ზარალი აქციების გამოსეგება	59,000	-	(11,431)	(11,431)
ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	75,000	(485)	(13,426)	61,089
კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორების მოხსნა	-	485	(485)	-
სრულყოფილი წლიური ზარალი	-	-	(10,717)	(10,717)
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	75,000	-	(24,628)	50,372

სს “კორ სტანდარტ ბანკი”

შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე -31 დეკემბერი 2009 წ.

ათას ლარებში	შენიშვნა	2009	2008
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		26,775	16,038
გადახდილი პროცენტი		(13,893)	(6,823)
მიღებული საკომისიოები	21	3,952	2,739
გადახდილი საკომისიოები	21	(2,545)	(1,460)
შემოსავალი მიღებული სავალუტო ოპერაციებიდან		1,591	518
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავლები	22	81	281
გადახდილი პერსონალის ხარჯები	23	(9,206)	(9,594)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(6,370)	(7,571)
სამშენიაველო გადასახადი - გადახდილი			(254)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყებული ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და პასივებში ცვლილების შეტანამდე		385	(6,126)
წმინდა ზრდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებში საქართველოს ეროვნულ ბანკში		(1,422)	(4,941)
წმინდა ზრდა კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებში		129	731
წმინდა კლება სხვა ფინანსურ აქტივებში		139	(1,008)
წმინდა ზრდა/კლება სხვა აქტივებში		9,911	(18,521)
წმინდა კლება/ზრდა სხვა ბანკების მოთხოვნებზე		62,323	67,828
წმინდა ზრდა კლიენტთა ანგარიშებში		(21,257)	(341)
წმინდა კლება/ზრდა სხვა ფინანსურ ვალდებულებებში		(1,075)	1,578
სუფთა ფულადი შემოსავლები საოპერაციო საქმიანობებიდან		(7,595)	19,972
ფულადი სახსრების შემოდინება საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ვადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა		-	(17,327)
შემოსავალი ვადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან ვადის გასვლის შემდეგ		-	17,327
შენიშნა-ნაგებობებისა და მოწყობილობების შექენა	11	(523)	(981)
შემოსავალი შენიშნა-ნაგებობების გაყიდვიდან		302	-
შვილობილის შექენაზე შექენის დროს გადახდილი თანხა		-	(14,840)
შვილობილის შექენა, მეორე გადახდა		-	(14,000)
საინვესტიციო საკუთრების შექენა	9	-	(5,240)
არამატერიალური აქტივების შექენა	11	(695)	(43)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული სუფთა ფულადი სახსრები		(916)	(35,104)
ფულადი სახსრების შემოდინება ფინანსური საქმიანობებიდან			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		4,346	52,783
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან		4,346	52,783
გაცვლითი კურსის ცვლილების ზემოქმედება ნაღდ ფულსა და მის ექვივალენტებზე		(140)	169
წმინდა ზრდა/კლება ნაღდ ფულსა და მის ექვივალენტებში		(4,305)	37,820
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში		37,820	0
ფული და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	7	33,515	37,820

1 შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს კორ სტანდარტ ბანკისათვის, (“ბანკი”) და მისი ფილიალებისათვის (ერთობლივად წოდებულნი, როგორც “ჯგუფი” ან “ბანკი”).

ბანკმა საქმიანობა დაიწყო 2008 წლის 6 მარტს, სს სტანდარტ ბანკისაგან აქციების 100% შესყიდვის შემდეგ შემდეგი აქციონერების მიერ: შეიხი ნაჰიანი მბარაკ ალ ნაჰიანი, რომელიც ფლობს აქციების 45%-ს, შეიხი ჰამდანი ბინ ზაიედ ალ ნეჰიანი, რომელიც ფლობს აქციების 20%-ს, შეიხი მოჰამედ ბუტი ალ ჰამედი, რომელიც ფლობს აქციების 15%, შეიხი მანსურ ბინ ზაიედ ბინ სულთან ალ ნეჰიანი, რომელიც ფლობს აქციების 15% და შპს “საინვესტიციო სავაჭრო ჯგუფი, რომელიც ფლობს აქციების 5%.

ბანკი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შეზღუდულია აქციებით და ჩამოყალიბდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ძირითადი საქმიანობა. ბანკი ძირითადად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული და საცალო საბანკო ოპერაციები საქართველოს ფარგლებში. ბანკი მუშაობს სრული საბანკო ლიცენზიის შესაბამისად, რომელიც გაცემული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2008 წლის 25 თებერვლიდან.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია 21 ფილიალი საქართველოში. მას ასევე გააჩნია წარმომადგენლობები წნორში, დედოფლისწყაროსა და სენაკში.

ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 43.

პრეზენტაციის ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი წარმოდგენილია ათას ლარებში. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი შეადგენდა 1 აშშ დოლარი = 1.6858 ლარს (2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 1.6670 ლარს).

2 ბანკის სამუშაო გარემო

2009 წელი ასევე რთული წელი იყო საქარველოსთვის, რადგანაც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა და გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ქვეყანაზე. წლის პირველ ნახევარში არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას, ინვესტიციების შემცირებას, როგორც უცხოური, ასევე საშინაო, და მეტად შეზღუდულ საბანკო სესხების გაცემას შედეგად მოჰყვა ეკონომიკური აქტიურობის შემცირება ქვეყანაში. მთავრობამ შესძლო ეკონომიკის მსვლელობის შენარჩუნება დონორთა თავდაპირველი თანხების ათვისებით, საწყის ეტაპზე ინფრასტრუქტურულ პროექტებში და სოციალურ პროგრამებში. წლის მეორე ნახევარში პოლიტიკურ ვითარებაში გამოჩნდა სტაბილურობის ნიშნები და ეკონომიკაში გამოჩნდა აღორძინების გარკვეული ნიშნები, მაგრამ საგარეო გარემო კვლავ სუსტი რჩება საექსპორტო ბაზრის ზრდის თვალსაზრისით, ასევე გაურკვეველობით კერძო კაპიტალის შემოდინებების აღდგენასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, საშინაო საკრედიტო პირობები კვლავ მეტად რთული იყო, თუმცა, დაიწყო საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

2009 წელს ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ დაცემას საერთო შიდა პროდუქციის 4%-იანი შემცირებით. დაცემა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი დახმარება 4.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. წლიური ინფლაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო და შეადგენდა 3%-ს 5.5%-თან 2008 წელში და 11%-თან 207 წელში შედარებით. უფრო მეტიც, 2009 წლის სექტემბერში ფიტჩის რეიტინგმა დაადასტურა საქართველოს გრძელვადიანი საგარეო და ადგილობრივი ვალუტის გამოშვების დეფოლტის რეიტინგი “B+”, და ქვეყნის მაქსიმალური მაჩვენებელი აწია “B+”-დან “BB”-მდე სტაბილური პერსპექტივით – რეიტინგი, რომელიც საქართველოს ჰქონდა 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტამდე.

საქართველოში მომავალი ეკონომიკური სტაბილურობის პრესპექტივა დიდად არის დამოკიდებული იმ ეკონომიკური ზომების ეფექტურობაზე, რომელიც მიღებული იქნა მთავრობის მიერ, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ წინსვლებთან ერთად. შიდა

და რეგიონალური ეკონომიკური სტაბილურობა აუცილებელია ეკონომიკის წარმატებულად განვითარებისათვის და სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის მუდმივ გაუმჯობესებას, რათა საქართველო კვლავ დაბრუნდეს ინვესტორების რუკაზე.

ბანკის მსესხებლებზე არასახარბიელო ზემოქმედება მოახდინა ფინანსურმა და ეკონომიკურმა გარემომ, რაც, თავის მხრივ, უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა მათ მიერ ნასესხები თანხების გადახდისუნარიანობაზე. მსესხებლებისა და ეკონომიკური პირობების გაუარესება აისახა მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზზე და გაუფასურების შეფასებაზე.

საქართველოს ბაზარი მრავალი სახის გირაოსა და, განსაკუთრებით უძრავი ქონებისათვის, მკაცრი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა ახლახანს მომხდარი ცვლილებები გამო საერთო ფინანსურ ბაზრებზე, რასაც შედეგად მოჰყვა მათი დაბალლიკვიდურობა აქტივების გარკვეული სახეობებისათვის. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ გირაოს რეალური სარეალიზაციო ღირებულება შეიძლება გასხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რაც დაფიქსირებულია გაანგარიშებად დაშვებებში გაუფასურებაზე. დარეზერვების თანხა გაუფასურებულ სესხებზე ემყარება ამგვარი აქტივების ბანკის მენეჯმენტის მიერ შეფასებას საბაღალანსო უწყისის თარიღისათვის, ფულადი სახსრების მიმოქცევის გათვალისწინების შემდეგ, რაც შეიძლება გამოდინარეობდეს გირაოს გამოსყიდვის უფლების გაუქმებიდან, მინუს გირაოს შექმნისა და სარეალიზაციო ხარჯები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბანკის მენეჯმენტმა სწორად ასახა შესწორებული გაანგარიშებები მოსალოდნელ მომავალ ფულად სახსრების მოძრაობასთან მიმართებაში თავისი გაუფასურების შეფასებებში.

მენეჯმენტს არ ძალუძს საიმედოდ განსაზღვროს ზემოქმედება ბანკის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე ლიკვიდურობის ნებისმიერი შემდგომი გაუარესების თვალსაზრისით, ასევე მზარდი ცვალებადობა სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე. მენეჯმენტს სჯერა, რომ იგი ღებულს ყველა აუცილებელ ზომას, რათა ხელი შეუწყოს ბანკის მდგრადობას და მისი ბიზნესის ზრდას არსებულ ვითარებაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შეღების საფუძველი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (“ფასს”) შესაბამისად, ისტორიული ღირებულებით, როგორც ეს განოსაზღვრება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, აქტივებისა და პასივების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა, რომლის გატარებაც ხდება ამგვარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. ამგვარი პოლიტიკის გატარება მუდმივად ხდება წარმოდგენილ პერიოდში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი.

შვილობილი კომპანიები, ანუ ის კომპანიები და სხვა დაწესებულებები (მათ შორის საგანგებო მოიზნის მქონე დაწესებულებები) როლებშიც ჯგუფს გააჩნია ინტერესი და ხმის უფლების ნახევარზე მეტი და უფლება აქვს გაატარონ ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, რათა მიიღონ სარგებელი. პოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებობა და შედეგი, რომელიც ამჟამად გამოიყენება და კონვერტირდება, მათი ჩათვლა ხდება იმის შეფასებისას, რომ ჯგუფი აკონტროლებს დაწესებულებებს, თუ არა. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისათვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შექმნის თარიღი) და მათი დეკონსოლიდირება ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

აღრიცხვის შესყიდვის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შესყიდვისას. შესყიდვის ღირებულება იზომება აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული კაპიტალის ინსტრუმენტებით და ვალდებულებებით, რომელთა ადება მოხდა გაცვლის თარიღზე, პლუს ის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის შეტანილი შესყიდვაში. გაცვლის თარიღი არის შესყიდვის თარიღი, როდესაც ბიზნეს კომბინაცია სრულდება ერთჯერად ტრანსაქციაში და ასევე არის თითოეული აქციის შესყიდვის თარიღი, სადაც ბიზნეს კომბინაცია სრულდება ეტაპებად აქციების თანმიმდევრობითი შესყიდვებით.

შესყიდვის ღირებულების ნამატი შემსყიდველის წილზე შემსყიდველი კომპანიის სუფთა აქტივების სამართლიან ღირებულებაში თითოულ გაცვლით ტრანსაქციაში, რეგისტრირდება როგორც გუდვილი. შემსყიდველის ინტერესის ნამატი აღრიცხვას დაქვემდებარებული აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების სუფთა სამართლიან ღირებულებაში,

რომელიც შექმნილი იქნა ღირებულებით (“ნეგატიური გუდვილი”) დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება მოგებაა, თუ ხარალში.

დასადგენი აქტივები, რომლებიც შედგენილი იქნა, ხოლო ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია ბიზნეს კომბინაციაში, განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებებით შექმნის თარიღისათვის, რაიმე მეორეხარისხოვანი ინტერესის მასშტაბურობის მიუხედავად.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ბალანსები და არარეალიზებული შემოსავლები გაროგებებზე ჯგუფის კომპანიებს შორის გაუქმებულია; ასევე გაუქმებულია არარეალიზებული ხარალები, თუ არ მოხდება ღირებულების ამოღება. ბანკი და ყველა მისი ფილიალი ატარებს საერთო საბუღალტრო პოლიტიკას, ბანკის პოლიტიკასთან შესაბამისობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - განზომილების ძირითადი პირობები.

თავიანთი კლასიფიკაციაზე დამოკიდებულებით, ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება მათი სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელშიც შეიძლება აქტივის გაცვლა, ან მოგვარებული ვალდებულება მცოდნე, სურვილის მქონე მხარეებს შორის კომერციულ ოპერაციაში. სამართლიანი ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც კვორტირებულია აქტიურ ბაზარზე. ანაზღაურებადი რისკის მქონე აქტივებისა და პასივებისათვის, ბანკმა შეიძლება გამოიყენოს საშუალო სავაზრო ფასები, როგორც საფუძველი მათი სამართლიანი ღირებულების დასადგენად ანაზღაურებადი რისკის პოზიციებისათვის და შესაბამისად გამოიყენოს შეთავაზებული თუ მოთხოვნილი ფასი სუფთა ღია პოზიციისათვის. ინანსური ინსტრუმენტი ჩაითვლება კვორტირებულად აქტიურ ბაზარზე იმ შემთხვევაში, თუ კვორტირებული ფასი რეგულარულად არის ხელმისაწვდომი გაცვლითი თუ სხვა ინსტიტუტისაგან და ის ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ტრანსაქციას კონკურენტულ საფუძველზე.

შეფასების ტექნიკა, როგორცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების მიმოქცევის მოდლები ან მოდლები მიმდინარე კონკურენტულ ტრანსაქციებზე, თუ ინვესტიციის მიმღებთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით, რომლისთვისაც საგარეო საბაზრო ფასების ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკამ შეიძლება მოითხოვოს ვარაუდები, რომელიც არ არის განმტკიცებული შესაბამისი საბაზრო მონაცემებით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების გამჟღავნება ხდება მაშინ, თუ ნებისმიერი ასეთი ვარაუდის ცვლილებას მიზანშეწონილად შესაძლებელ ალტერნატივაში შეიძლება შედგად მოჰყვეს მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები თუ მთლიანი ვალდებულებები.

ხარჯი წარმოადგენს ნაღდი ფულისა, თუ მისი ექვივალენტის თანხას, ან სამართლიან ღირებულებას სხვა კომპენსაცია, რომელიც გაიცემა აქტივის შესაძენად მისი შესყიდვის მომენტში და იგი მოიცავს ტრანსაქციის ხარჯებს. ტრანსაქციის ხარჯები არის ის ხარჯები, რომლებიც წარმოადგენს თანაბრად ზრდა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ შედის ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვაში, გაცემასა, თუ განკარგვაში. ზრდადი ხარჯი არის ერთ-ერთი მათგანი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული, თუ ტრანსაქციას არ ექნებოდა ადგილი. თრანსაქციის ხარჯებში შედის გასამრჯელოები და საკომისიოები, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებს და დილერებს, მარეგულირებელი სააგენტოების გადასახადები და ფასუიანი ქაღალდების გაცვლა, ასევე გადასახადებისა და ასაკრებლების გადარიცხვა. ტრანსაქციის ხარჯებში არ შედის დავალიანების პრემიუმები, თუ დისკონტები, დაფინანსების ხარჯები, თუ შიდა ადმინისტრაციული, თუ საინვენტარიზაციო ხარჯები.

3 საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ხარჯი არის ის თანხა, რომლითაც მოხდა ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება თავდაპირველი აღიარებით მინუს ნებისმიერი ძირითადი თანხების დაფარვა, პლუს დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივებისათვის მინუს მომხდარი გაუფასურების ხარალის ნებისმიერი ჩაწერა. დარიცხულ პროცენტში შედის ტრანსაქციის ხარჯების ამორტიზაცია, რომელიც გადავადებულია საწყისი აღიარებით და ნებისმიერი პრემია, თუ

დისკინტირება საბოლოო თანხამდე ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. არიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დარიცხული კუპონი და ამორტიზირებული დისკონტი, ან პრემია (მათ შორის გასამრჯელოები, რომლებიც გადავადებულია, თუ ასეთი არსებობს), არ წარედგინება ცალკე და შედის დაკავშირებული საბალანსო უწყისის მუხლების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური პროცენტის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლების, თუ საპროცენტო ხარჯების განთავსების მეთოდი შესაბამის პერიოდში ისე, რომ მიღწეული იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი მიმდინარე ღირებულებაზე (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მიახლოებით მომავალი ფულადი გადახდების, თუ ქვითრების (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სიცოცხლისუნარიანობისა, თუ უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური ინსტრუმენტის სუფთა მიმდინარე ღირებულებისადმი.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების, წარმოებულებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით მოგებასა და ზარალში, თავდაპირველი ჩაწერა ხდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის თანდაპირველი ჩაწერა ხდება სამართლიანი ღირებულებით პლუს ტრანსაქციის ფასი. თავდაპირველი აღიარებით სამართლიანი ღირებულების საუკეთესოდ დასაბუთება ხდება ტრანსაქციის ფასით. თავდაპირველი აღიარებით მოგებისა, თუ ზარალის ჩაწერა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანსაქციის ფასს შორის, რისი დასაბუთებაც შესაძლებელია სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანსაქციებით იმავე ინსტრუმენტში, ან შეფასების ტექნიკით, რომელიც მოიცავს მხოლოდ მონაცემებს დაკვირვებადი ბაზრებიდან.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და რეალიზაცია ("რეგულარული გზა" ყიდვა-გაყიდვა), რომელიც მოითხოვს მიწოდებას იმ დროის მონაკვეთში, რომელიც დაწესებულია დებულებით, ან საბაზრო კონვენციით, ჩაიწერება ვაჭრობის თარიღით, რაც წარმოადგენს თარიღს, როდესაც ბანკი იღებს ვალდებულებას ფინანსური აქტივების გადაცემაზე. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტი ხდება მხარე ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობებისადმი.

ფინანსური აქტივების არა აღიარება. ბანკი არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს, როდესაც (ა) აქტივების გამოსყიდვა ხდება, ან უფლებები ფულადი სახსრების მიმოქცევაზე აქტივებიდან სხვაგვარად ვადავასულია ან (ბ) უფლებები ფულადი სახსრების მიმოქცევაზე ბანკმა გადაიტანა ფინანსური აქტივებიდან, ან მოახდინა საკვალიფიკაციო გამსვლელი შეთანხმება მაშინ, როდესაც ასევე გადასცემდა და არ ინარჩუნებდა არსებითად ყველა რისკებსა და საკუთრების წახალისებებს, მაგრამ არ ინარჩუნებდა კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორს არ გააჩნია პრაქტიკული უნარი, მოახდინოს მთლიანი აქტივების რეალიზაცია არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფული და ფულადი ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები ის საკითხებია, რომლის კონვერტირება ხდება ცნობილ ტანხებად და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო ინსტიტუტებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 3 თვის ვადა. ის სახსრები, რომლებიც შეზღუდულია წარმოშობიდან სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე, გამოირიცხება ფულისა და ფულადი ეკვივალენტებისაგან. ფული და ფულადი ეკვივალენტების წარმოება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალდებულო ფულადი რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში. სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში გატარდება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენენ უპროცენტო სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად, რის გამოც არ ჩაითვლება, როგორც ნაღდი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების ნაწილი ფულადი სახსრების მიმოქცევის კონსოლიდირებული უწყისის მიზნებიდან გამომდინარე.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გატარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკი ფულს გასცემს, რათ შესყიდული იქნას ან წარმოიშვას არაკონტირებული არაწარმოებული მისაღები თანხა კლიენტისაგან, რომელიც გადახდილი უნდა

იქნას ფიქსირებულ, ან განსაზღვრულ თარიღებზე და არ არის გამიზნული მისაღები თანხებით ვაჭრობისაკენ. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსების წარმოება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ გაუარესებას ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, ეს არის მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო, იგი მოიცავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და კოლექტიურად მოახდენს მათ შეფასებას გაუარესებასთან დაკავშირებით. პირველესი ფაქტორები, რასაც ბანკი ითვალისწინებს იმის განსაზღვრისთვის, რომ ფინანსური აქტივების გაუარესება ხდება მისი ვადაგადაცილებული სტატუსის გამო და თუ რამდენად რეალიზებადია შესაბამისი გირაო, თუ ასეთი რამ არსებობს.

სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ასევე გამოიყენება შემდეგ სხვა მთავარი კრიტერიუმები იმის განსაზღვრის მიზნით, თუ არსებობს რაიმე ობიექტური დასაბუთება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა გაუფასურების შედეგად მიღებულ ზარალს:

- ნებისმიერი შესატანი ვადაგადაცილებაშია და არ შეიძლება განხორციელდეს დაგვიანებული დაფარვა, იმ დაყოვნების გამო, რომელიც გამოწვეულია ანგარიშსწორების სისტემით;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაც დასაბუთებულია მსესხებლის ფინანსური იმ ინფორმაციით, რომელიც ბანკმა მოიპოვა;
- მსესხებელი ითვლება გაკოტრებულად ან განიცდის ფინანსურ რეორგანიზაციას;
- მსესხებლის დაფარვის მდგომარეობასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა არასახარბიელო ცვლილებას, სახელმწიფო, ან ადგილობრივ ეკონომიკურ ვითარებაში ცვლილებების შედეგად, რამაც ზემოქმედება მოახდინა მსესხებელზე; ან
- გირაოს ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება გაუარესებული საბაზრო პირობების გამო.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივების დაჯგუფება ხდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ამგვარი მახასიათებლები შეესაბამება ფულადი სახსრების მიმოქცევის გაანგარიშებას ისეთი აქტივების ჯგუფებისათვის, რაც წარმოაგენს მოვალის უნარიანობის მანველებელს, თუ რამდენად შეუძლია დაფაროს ყველა ის თანხები, რომლების შესატანია შესაფასებელი აქტივების საკონტრაქტო პირობების შესაბამისად.

ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევა ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელთა გაუფასურებაზეც შეფასება ხდება კოლექტიურად, გაინაგარიშება აქტივების საკონტრაქტო პირობებისა და მენეჯმენტის გამოცდილების შესაბამისად, თანხების ვადაგადაცილების მასშტაბებთან მიმართებაში, წარსული დანაკარგების შემთხვევებისა და ვადაგადაცილებული თანხების ამოღების წარმატებასთან დაკავშირებით. წარსული გამოცდილების დარეგულირება ხდება მიმდინარე შესასრულებელი თარიღების საფუძველზე, რათა აისახოს მიმდინარე პირობების ზემოქმედება, რამაც ზემოქმედება არ მოახდინა წარსულ პერიოდებზე და მოისხნას წარსული პირობების ზემოქმედება, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება გაუფასურებული იმ ფინანსური აქტივის ვადების გადახედვა, რომლებიც შენარჩუნებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ან სხვაგვარად მოდიფიცირება მსესხებლია, თუ გამცემის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება განისაზღვრება თავდაპირველად ძალაში მყოფი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სანამ მოხდება ვადების მოდიფიცირება.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხდება დასასვები ანგარიშით, რათა ჩაიწეროს აქტივის მიმდინარე ღირებულება ფულადი სახსრების სავარაუდო მიმოქცევების ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რასაც ადგილი არ ჰქონია), რომელთა დისკონტირება მოხდა აქტივის თავდაპირველად ძალაში მყოფ საპროცენტო

განაკვეთზე. დაგირავებული ფინანსური აქტივის გაანგარიშებული ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს გირაოს გამოსყიდვის უფლების გაუქმება მინუს ხარჯები გირაოს შექმნისა და რეალიზების ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ გირაოს გამოსყიდვის უფლების გაუქმება სავარაუდოა, თუ არა.

თუ, შემდგომ პერიოდში, გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იყოს შემთხვევასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაუფასურების შემდეგ, აღიარებული იქნა (როგორცაა მოვალის საკრედიტო რეინტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმებული იქნა, დაშვების ანგარიშის შესწორებით წლიური მოგება-ზარალის საშუალებით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულება, რაც დაკავშირებულია აქტივის ამოღებასთან და განისაზღვრება ზარალის თანხა. იმ თანხების შემდგომი ამოღებები, რომლებიც ადრე ჩამოწერილი იქნა, შეიტანება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე, წლიურ მოგებასა, თუ ზარალში.

ჩამორთმეული გირაო. ჩამორთმეული გირაო წარმოადგენს ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივებს, რომელიც შექმნილი იქნა ბანკის მიერ ვადაგადაცელებული სესხების გასაწორებლად. თავდაპირველად აქტივების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, როდესაც შექმნილი იქნა და შეტანა ხდება შენობასა და მოწყობილობაში, სხვა ფინანსური აქტივები, თუ ინვესტარი სხვა აქტივების შიგნით, ბანკის განზრახვის ხასიათზე დმოკიდებულებით, რაც შეეხება ამგვარი აქტივების ამოღებას და შემდგომ ხელახლა განისაზღვრება და განმარტებულია საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისად ამგვარი კატეგორიის აქტივებისათვის.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები. კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებების აღება, მათ შორის აკრედიტივები და ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს შეუქცევად რწმუნებას იმისა, რომ მოხცდება გადახდები იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს მესამე მხარის მიმართ და იმავე რისკის მატარებელია, რაც სესხები. ფინანსური გარანტიებისა და სესხის გაცემაზე ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ დასაბუთებულია მიღებული გასამრჯელოების თანხით. ამ თანხის ამორტიზირება ხდება წრფივად ვალდებულების ვადის განმავლობაში, გარდა სესხების წარმოშობის ვალდებულებებისა, თუე ს სავარაუდოა, რომ ბანკი გააფორმებს სპეციფიკურ სასესხო შეთანხმებას და არ მოეღის იმას, რომ მოახდინოს სესხის რეალიზება მისი წარმოშობის შემდეგ; ამგვარი სასესხო ვალდებულების გასამრჯელო გადავადდება და შეტანილი იქნება სესხის მიმდინარე ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები განისაზღვრება ნარჩენი არაამორტიზირებული ნაშთის უმაღლესი თანხით საწყისი აღიარებით და იმ დანახარჯის საუკეთესო გაანგარიშებით, რაც საჭიროა ვალდებულების გასასტუმრებლად თითოეული საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამ კლასიფიკაციაში შედის კოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დასაფიქსირებელი გადახდებით და ფოქსირებული დაფარვის ვადებით, რამეთუ ბანკს გააჩნია როგორც განზრახვა, ასევე შეუძლია დაფარვის ვადამდე შენარჩუნება. მენეჯმენტი განსაზღვრავს დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებით და ხელახლა შეაფასებს ამ კლასიფიკაციის შესაბამისობას თითოეული საბალანსო უწყისის თარიღზე. დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

გუდვილი. გუდვილი წარმოადგენს შესყიდვის ღირებულების ნამეტ თანხას დასადგენი აქტივებში შექმნის წილის სამართლიან ღირებულებაზე, შექმნილი ფილიალისა თუ პარტნიორის ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე გაცვლის თარიღზე. ფილიალების შესყიდვაზე გუდვილი ცალკეა წარმოდგენილი კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისში. პარტნიორის შესყიდვაზე გუდვილის შეტანა ხდება დაკავშირებულ კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში. გუდვილის გაიანგარიშება ღირებულებით მინუს აკუმულირებული გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გაუფასურებაზე გუდვილის შემოწმებას ბანკი ახორციელებს სულ მცირე ყოველწლიურად და როდესაც კი არის ნიშნები იმისა, რომ შეიძლება მოხდეს გუდვილის გაუფასურება. გუდვილის განთავსება ხდება ფულის შემომტან ერთეულებზე, ან ბანკებში, რომლებიც ისარგებლებენ ბიზნეს კომბინაციის შერწყმით. ამგვარი ერთეულები, თუ ჯგუფები წარმოადგენენ ყველაზე დაბალ დონეს, რომელზედაც ბანკი აკონტროლებს გუდვილს და არ არიან სეგმენტზე უფრო დიდი. მოგება, თუ ხარალი ოპერაციის განკარგვაზე ფულის შემომტან ერთეულში, რომელზედაც განთავსდა გუდვილი, მოიცავს გუდვილის მიმდინარე თანხას, რაც დაკავშირებულია განკარგულ ოპერაციასთან და ზოგადად განისაზღვრება განკარგული ოპერაციების შედარებითი ღირებულებების საფუძველზე და ფულის შემომტანი ერთეულის იმ ნაწილზე, რომელიც შეინახება.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა რეგისტრირებულია ღირებულებით მინუს დაგროვილი ცვეთა და რეზერვი გაუფასურებაზე.

მცირე რემონტისა და ექსპლუატაციის ხარჯების გაწევა ხდება მოთხოვნისამებრ. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მთავარი ნაწილებისა, თუ კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზირებულია და შეცვლილ ნაწილი ჩამოიწერება.

ანგარიშგების თითოეულ თარიღზე მენეჯმენტი განსაზღვრავს, არის თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ამგვარი რაიმე ნიშანი არსებობს, მენეჯმენტი გამოითვლის ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო მაღალი ღირებულება მინუს სარეალიზაციო ხარჯები და მისი მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე თანხა შემცირდება ამოსაღებ თანხამდე, ხოლო გაუფასურების ხარალი აღიარებული იქნება საოპერაციო უწყისში. გაუფასურების ხარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, გარდაიქმნება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ან სდამართლიან რირებულებას მინუს სარეალიზაციო ხარჯები.

შემოსავლები და ხარალი განკარგვაზე, რომლებიც განისაზღვრება შემოსავლების შედარებით მიმდინარე თანხასთან, აღიარებულია მოგებაში, ან ხარალში.

ცვეთა. მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება. სხვა საგნებისა და შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების ცვეთ გამოიანგარიშება სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდეს მათი ღირებულების განთავსება ნარჩენ ღირებულებაში მათი გამოანგარიშებული საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში.

შენობა-ნაგებობები	<u>წელი</u> 25
მოწყობილობა და ტრანსპორტი	5
საიჯარო გაუმჯობესებები	აღნიშნული იჯარის ვადის განმავლობაში

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის გამოანგარიშებული თანხა, რომელსაც ჯგუფი ამჟამად ღებულობს აქტივების განგარვიდან, მინუს განკარგვის მიახლოებითი ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ ხნისაა და იმ პირობებშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი საექსპლუატაციო პერიოდის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და საექსპლუატაციო პერიოდი განიხილება და მოხდება მისი შესწორება საჭიროებისამებრ საბალანსო უწყისის თითოეული თარიღისათვის.

არამატერიალური აქტივები. ბანკის ყველა მატერიალური აქტივს გააჩნია განსაზღვრული საექსპლუატაციო პერიოდი.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიუების კაპიტალიზირება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და გამოსაყენებლად. კაპიტალიზირებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზირება ხდება სწორხაზოვნად საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში ხუთ წლამდე.

კლიენტთან ურთიერთობის ღირებულება განისაზღვრება, როგორც ბიზნეს კომბინაციის შედეგად, რომელიც ამორტიზირდება სწორხაზოვნად კლიენტთან ურთიერთობის მოსალოდნელი 10 წლიანი ხალგაძლივობის მანძილზე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარები. სადაც ბანკი არის მეიჯარე იმ იჯარისას, რომელიც არ გადასცემს ყველა რისკებსა და ჯილდოებს შემთხვევით მოიჯარიდან ბანკზე. მთლიანი საიჯარო გადასახადები გარდაიქმნება მოგებად, თუ ზარალად სწორხაზოვნად იჯარის პერიოდის განმავლობაში.

სხვა ხელშეკრულებებში ჩასმული იჯარები ცალკე გამოიყოფა იმ შემთხვევაში, თუ (ა) შეთანხმების განხორციელება დამოკიდებულია სპეციფიკური აქტივის თუ აქტივების გამოყენებაზე და (ბ) შეთანხმება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას.

როდესაც ხდება აქტივების იჯარით გაცემა საოპერაციო ლიზინგით, იჯარის გადასახადები აღიარებულია, როგორც საიჯარო შემოსავალი სწორხაზოვნად, იჯარის ვადის მიხედვით.

დავალიანება სხვა ბანკების მიმართ. სხვა ბანკების მიმართ დავალიანების თანხების გატარება მოხდება მაშინ, როდესაც ფული, თუ სხვა აქტივები გაიცემა ბანკზე პარტნიორი ბანკების მიერ. რაწარმოებული ვალდებულების დარეგისტრირება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ შეისყიდის თავის საკუთარ დავალიანებას, ვალდებულება ამოღებული იქნება კონსოლიდირებული საბალანსო უწყისიდან და სხვაობა ვალდებულების მიმდინარე თანხასა და გადახდილ კომპენსაციას შორის შეტანილი იქნება მოგებასა, თუ ზარალში, რომელიც გამომდინარეობს დავალიანების დაფარვიდან.

კლიენტის ანგარიშები. კლიენტის ანგარიშები წარმოადგენს არაწარმოებულ ვალდებულებებს პიროვნებების, სახელმწიფოს, თუ კორპორატიული კლიენტების მიმართ და მათი გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

სუბორდინირებული სესხი. სუბორდინირებულ სესხში შედის გრძელვადიანი, არაწარმოებული ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ და მისი გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. სუბორდინირებული სესხის დაფარვა მოდის ყველა სხვა კრედიტორების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის მე-2 დონის კაპიტალში.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებულია, ან შემდგომში იქნება ამოქმედებული საბალანსო უწყისის თარიღისათვის. საშემოსავლო გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და მისი აღიარება ხდება კონსოლიდირებულ საოპერაციო უწყისებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში, რამეთუ იგი დაკავშირებულია ტრანსაქციებთან, რომლების აგრეთვე აღიარებულია იმავე, ან სხვა პერიოდში, პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს, ან ამოღებული იქნას საგადასახადო სამსახურისაგან დასაბეგრავ მოგებასა, თუ ზარალთან მიმართებაში მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის. ასაბეგრი მოგება, თუ ზარალი ემყარება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდა შესაბამისი საგადასახადო ამონაგებების ფაილინგის წინ. გადასახადების, გარდა საშემოსავლოში, გატარება ხდება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი უზრუნველყოფილია საბალანსო ვალდებულების მეთოდით საგადასახადო ზარალის გადატანებით და დროებითი სხვაობებით, რაც წარმოიშობა აქტივების და ვალდებულებების საგადასახო საფუძვლიდან და მათი მიმდინარე თანხებიდან ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარების გათავისუფლების შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ დაფიქსირდება დროებითი სხვაობებისათვის აქტივისა, თუ ვალდებულების საწყის აღიარებაზე ტრანსაქციაში, გარდა ბიზნეს კომბინაციისა, თუ ტრანსაქცია, თუ ხდება მისი საწყისი დაფიქსირება, ხელოვნურად არ ახდენს არც საბუღალტრო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები განისაზღვრება საგადასახადო ტარიფებით, რომლებიც ამოქმედებულია, ან შემდგომში ამოქმედდება საბალანსო უწყისის თარიღზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოიყენება იმ პერიოდში, როდესაც დროებითი სხვაობები გარდაიქმნება, ან საგადასახადო დანაკარგების გადატანები ათვისებული იქნება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოიყვანება მხოლოდ ბანკის ინდივიდუალური კომპანიებისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობებისათვის და საგადასახადო დანაკარგის გადატანებისათვის გატარდება მხოლოდ იმ მასშტაბებით, რაც სავარაუდოა, რომ

მომავალი დაბეგრი მოგება ხელმოსაწვდომი იქნება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იქნას დაქვითვები.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია შექმნის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში და სხვა შექმნის შემდგომ მოძრაობებში ფილიალების რეზერვებში, გარდა იმისა, როდესაც ბანი აკონტროლებს ფილიალის სადივიდენდო პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ სხვაობა არ გარდაიქმნება დივიდენდების საშუალებით, ან სხვაგვარდ იქნება გათვალისწინებული მომავალში.

რეზერვები ვალდებულებებისა და დარიცხვებისათვის. რეზერვები ვალდებულებებისა და დარიცხვებისათვის არის არაფინანსური ვალდებულებანი განუსაზღვრელი დროითა და თანხით. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ბანკს გააჩნია არსებული იურიდიული და კონტრუქციული ვალდებულებები წარსულის მოვლენების შედეგად. სავარაუდოა, რომ რესურსების გადინება მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, საჭირო გახდება ვალდებულებების გასატუმრებლად და საიმედო მაჩვენებელი ვალდებულების თანხისა.

სავაჭრო და სხვა გადასახადები. სავაჭრო გადასახადები დაირიცხება მაშინ, როდესაც პარტნიორმა შეასრულა თავისი ვალდებულებები კონტრაქტის მიხედვით და გატარდება ამორტიზირებული ღირებულებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ინკრემენტალური ხარჯები, რომლებიც პირდაპირ შედის ახალი აქციების გამოშვებაში, ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც დაქვითვა, წმინდა გადასახადი შემოსავლებიდან. კომპენსაციის სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნაჭარბი მიიღება გაცემული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე გატარდება, როგორც აქციების პრემია კაპიტალში. ნაშთები, რომლებიც მისაღებია აქციონერებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ გადაუხდელ ცაპიტალს, თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით იმ დისკონტით, რომელიც აისახება კაპიტალის რეზერვში. დისკონტის აღრიცხვა აღიარებულია მოგება-ზარალის უწყისით და რეკლასიფიცირებულია დაგროვილი მოგებიდან/ზარალიდან რეზერვებში.

დივიდენდები. დივიდენდების გატარდება კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი დეკლარირება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც დეკლარირებულია საბალანსო უწყისის თარიღის შემდეგ, და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციაზე გამოსაშვებად, შეტანილია შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

შემოსავლისა და ხარჯების აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები გატარდება კონსოლიდირებულ საოპერაციო ანგარიშგებაში დავალიანების ყველა ინსტრუმენტისათვის დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდით გადავადებული იქნება კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილი, თუ მიღებული ყველა გასამრჯელო, რომელიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის, ტრანსაქციის ღირებულებისა და სხვა პრემიებისა, თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

გასამრჯელოები, რომლებიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს წარმოშობის გასამრჯელოებს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ პირის მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა, თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების დაზღვევასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანსაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. ბანკის მიერ მიღებული საკომისიოები, რომ გასცეს სესხები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, თუ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ბანკი გააფორმებს სპეციფიკურ სასესხო შეთანხმებას და არ არის მოსალოდნელი შედეგად მიღებული სესხის რეალიზებას წარმოშობისთანავე. ბანკი არ დაასახელებს სასესხო ვალდებულებებს, როგორც ფინანსურ ვალდებულებებს სამართლიანი ღირებულებით მოგებისა, თუ ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხები და სხვა დავალიანების ინსტრუმენტები საეჭვო გახდება ამოსაღებად, ხდება მათი ჩამოწერა მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობისა და საპროცენტო შემოსავლების მიმდინარე ღირებულებით და შემდგომში გატარდება მიმდინარე ღირებულების აღრიცხვით.

დისკონტო ემყარება აქტივების არსებულ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გამოყენებული იქნა გაუფასურების ზარალის განსაზღვრისათვის.

ყველა სხვა გასამრჯელო, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯები საერთოდ გატარდება დარიცხვის საფუძველზე სპეციფიკურ ტრანსაქციასთან დაკავშირებით, რომელის შეფასდება რეალური სერვისის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მთლიანად გასაწევი მომსახურებების პროპორციულად.

საკომისიოები და გასამრჯელოები, რომლებიც გამომდინარეობს მოლაპარაკების შედეგად, ან მესამე მხარის ტრანსაქციისათვის მოლაპარაკებებში მონაწილეობით, როგორცაა სესხების, აქციების, თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, თუ ბიზნესების შექმნა, თუ გაყიდვა, რომლებიც მიიღება ტრანსაქციის განხორციელებით, გატარდება მისი დასრულებისთანავე. პორტფელური და სხვა მენეჯმენტის საკონსულტაციო და მომსახურების საკომისიოები აღიარებულია შესაბამის მომსახურებების კონტრაქტების საფუძველზე, ჩვეულებრივ პროპორციული დროის პრინციპით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის საანგარიშგებო ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები იზომება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღეს უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას მინუს ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიხედვით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. გაცვლითი კურსის ცვლილებების ზემოქმედება არაფულად პუნქტებზე განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში და გატარდება, როგორც მოგებისა, თუ ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილი.

გაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება და წმინდა თანხის შეტანა ხდება კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი ძალის მქონე უფლება, გაიქვითოს აღიარებული თანხები და არსებობს განზრახვა ან გასწორდეს სუფთად, ან მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ამავედროულად გასწორდეს ვალდებულება.

პერსონალის ხარჯები და დაკავშირებული შენატანები. გასამრჯელოები, ხელფასები, შენატანები, ფასიანი წლიური შევსება, ბონუსები და არაფულადი სარგებლები ერიცხება წლის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც დაკავშირებული მომსახურებანი უზრუნველყოფილია ბანკის თანამშრომლის მიერ.

4 მნიშვნელოვანი საბუღალტრო გაანგარიშებანი და გადაწყვეტილებები სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას

ბანკი ახდენს გაანგარიშებებსა და აღიარებებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ფინანსურ უწყისებში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე თანხებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ხდება გაანგარიშებებისა და გადაწყვეტილებების მუდმივ შეფასებას და ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოსალოდნელობას, რაც სჯერათ, რომ მიზანშეწონილია არსებული ვითარებაში. მენეჯმენტი აგრეთვე ებუღლოს გადაწყვეტილებებს, გარდა იმისა, რომლებშიც შედის გაანგარიშებები, სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში. ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველაზე მეტ ზემოქმედებას ახდენენ ფინანსურ უწყისებში აღიარებულ თანხებსა და გაანგარიშებებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შესწორებები აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე თანხებში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

ბიზნესის ქმედითუნარიანობა. მენეჯმენტმა მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ბიზნესის ქმედითუნარიანობის საფუძველზე. ამგვარი განსჯის გაკეთებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა, გაანალიზა ახლანდელი ფინანსური კრიზისის ზემოქმედება ბანკის მომავალ საქმიანობაზე.

ბანკმა კვლავ განაგრძობდა ანგარიშგებას ზარალის შესახებ 10 717 000 ლარის შესახებ 2009 წელს (2008 წელს იგი შეადგენდა 11 431 000). 2009 წლის 31 დეკემბერს, ბანკს გააჩნდა უარყოფითი კუმულატიური გეპი 4 786 000 ლარის ოდენობით 12 თვის განმავლობაში (იხილეთ შენიშვნა 25). უფრო მეტიც, როგორც განხილულ იქნა შენიშვნა 26-ში, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ვერ აკმაყოფილებდა გარედან დაკისრებულ მოთხოვნებს. გარედან დაკისრებული მოთხოვნების ვერ შესრულებამ შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა სანქციების დაკისრებამდე, მათ შორის და არა მხოლოდ ფულადი ჯარიმები, დივიდენდების განაწილების შეზღუდვა, საბანკო ლიცენზიის გამოთხოვა მარეგულირებელი ორგანოს მიერ. ანგარიშის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ არ იყო ყოფილა დაკისრებული რაიმე ჯარიმები და საურავეები, თუ რაიმე სხვა არასახარბიელო ზომები. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა 26.

მენეჯმენტი აქტიურად მართავს ბანკის ლიკვიდურობის პოზიციას და შემდეგი ღონისძიებების შედეგად სჯერა, რომ ბანკი მიაღწევს წარმატებას საკმარის რესურსებში, რათა გააგრძელოს თავისი ყველა ვალდებულების შესრულება, როდესაც მათი ვადი დადგება:

- (i) ბანკს გააჩნია მთლიანი თანხა 33, 716 ათასი ლარის ოდენობით (20 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი) საკრედიტო ლიმიტი მთავარ ადგილობრივ ბანკებთან საქართველოში. ეს თანხა აჭარბებს სვოპურ და სხვა ასსათვისებელ სესხებს. 2010 წლის დასაწყისიდან ბანკის ბანკთაშორისი სესხები მერყეობდა 2-დან 8 მილიონ ლარამდე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთით 2.5%-დან 3.5%-მდე. კომერციული ბანკების საკმაოდ მაღალი ლიკვიდურობის გამო, ბანკთაშორისი სესხი არ არის ძვირი და შეიძლება აღებული იქნას 3-5% წლიური საპროცენტო განაკვეთით ერთდღიანიდან ექვს თვემდე პერიოდით. აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ბანკი ითვებს დაწესებული სასესხო ლიმიტის მხოლოდ დაახლოებით 10%-ს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ამგვარი საკრედიტო ლიმიტები საკმარისი იქნება ლიკვიდურობის გეპის დასაფარავად 12 თვემდე პერიოდში.
- (ii) მენეჯმენტს სჯერა, რომ კლიენტებთან ურთიერთობის ისტორიის საფუძველზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიენტთა თანხების უმეტესი ნაწილი განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე მოთხოვნისთანავე ისინი უზრუნველყოფენ უფრო გრძელვადიან და სტაბილურ დაფინანსებას. მის გამო, მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპის თანხის 20 მილიონი ლარის გაანგარიშებისას, კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები რეკლასიფიცირებული იქნა ერთ თვეზე ნაკლები პერიოდისა და 12 თვეზე მეტ პერიოდამდე.
- (iii) მენეჯმენტს სჯერა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არ მიიღებს რაიმე არასახარბიელო ზომებს ბანკის წინააღმდეგ მარეგულირებელი არაშესაბამისობების გამო და რომ ბანკი შესძლებს მარეგულირებელი კოფიციენტების შესრულებას 12 თვეში. მგვარი განსჯა ემყარება მენეჯმენტის გეგმას, მოახლოდნოს მარეგულირებელი შესაბამისობის აღდგენა 2010 წლის ბოლოსათვის. ამგვარი გეგმის ძირითადი ელემენტი მოიცავს ვადაგადაცილებული სესხების ამოღებას, აქციონერებისაგან მისაღები ანგარიშების შეგროვებას, რათა ეს თანხები გამოყენებული იქნას ბანკთაშორისი სესხების გასასტუმრებლად უმაღლესი განაკვეთითა და გაზრდილი საპროცენტო შემოსავლებით 2010 წელს.
- (iv) 2010 წლის 18 მაისს ბანკის მენეჯმენტმა მიიღო ფინანსური დახმარების წერილი თავისი მთავარი აქციონერისაგან, შეის ნაპაიან მაბარაკ ალ ნაჰიანისაგან.

გაუფასურების ზარალი და ავანსები. ბანკი რეგულარულად მიმოიხილავს თავის სასესხო პორტფელს გაუფასურების შეფასების მიზნით. იმის განსაზღვრის მიზნით, გაუფასურების ზარალის გატარება მოხდეს თუ არა საოპერაციო უწყისში, ბანკი ღებულობს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, არის, თუ არა რაიმე შესაძლებელი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ საგრძობლად შემცირდა ფულადი სახსრების მიმოქცევის მიხედვით გაანგარიშებაში სასესხო პორტფელიდან, სანამ აღინიშნება შემცირება ინდივიდუალური სესხით ინ პორტფელში. ამ დასაბუთებაში შეიძლება შედიოდეს დასაკვირვებელი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ აღგილი ჰქონდა უარყოფით ცვლილებას მსესხებლის გადახდისუნარიანობაში ჯგუფურად, ან სახელმწიფო, თუ ადგილობრივი პირობები, რომლების ურთიერთდაკავშირებულია დარღვევებთან აქტივებზე ჯგუფში, მენეჯმენტი იყენებს გაანგარიშებებს, რომელიც ემყარება იმ აქტივების დანაკარგების წარსულ გამოცდილებას, რომლებიც ხასიათდება საკრედიტო რისკით და გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებით, ისევე, როგორც პორტფელში, როდესაც ხდება მისი ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის დაგეგმვა. მეთოდოლოგია და ვალდებულებები, რომლებიც გამოიყენება როგორც ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის თანხის, ასევე დროის პერიოდის გაანგარიშებისას, განიხილება რეგულარულად, რათა

შემცირებული იქნას ნებისმიერი სხვაობები ზარალის გაანგარიშებასა და რეალური ზარალის პრაქტიკას შორის.

10%-იანი ზრდას, თუ შემცირებას ზარალის მიღების რეალური პრაქტიკაში საერთო ზარალის გამოყენებულ გაანგარიშებასთან შედარებით შეიძლება შედეგად მოჰყვეს სესხების გაუარესების დანაკარგების ზრდა ან შემცირება 197 ათასი ლარის ოდენობით (2008 წელს: 35 ათასი ლარი), შესაბამისად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების გაუარესების დანაკარგები ემყარება ინდივიდუალური სესხების დისკონტირებული ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის გაანგარიშებებს, დაფარვებისა და ნებისმიერი იმ აქტივის რეალიზაციის გათვალისწინებით, რომელიც აღებულა გირაოდ სესხებთან მიმართებაში.

10%-იანი ზრდას, თუ შემცირებას ზარალის მიღების რეალური პრაქტიკაში დისკონტირებული ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის გაანგარიშებებთან შედარებით ინდივიდუალურად შეფასებული მნიშვნელოვანი სესხებიდან, რაც შეიძლება წარმოიშვას თანხებს შორის სხვაობებიდან და ფულადი სახსრების მიმოქცევის დროულობიდან, შედეგად მოჰყვეს სესხების გაუფასურების დანაკარგები 889 ათასი ლარის ოდენობით (2008 წელს 232 ათასი ლარის ოდენობით), შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ტრანსაქციების საწყისი აღიარება. ბიზნესის ნორმალური მსვლელობისას ბანკი ახორციელებს გარიგებებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას თავიანთი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა ხდება, რათა განისაზღვროს, ტრანსაქციების განფასება ხდება საბაზრო, თუ არასაბაზრო ტარიფებით, როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი ტრანსაქციებისათვის. განსჯის საფუძველია განფასება მსგავსი ტიპის ტრანსაქციებისათვის არადაკავშირებულ მხარეებთან და დარიცხული საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარის ბალანსების პირობები მოცემულია შენიშვნა 30-ში.

გუდვილი. გუდვილის ამოსაღები თანხა შეფასებული იქნა მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშების საფუძველზე. იხილეთ შენიშვნა 10.

5 ახალი ან განახლებული სააღრიცხვო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემოღება

2009 წლის 1 იანვარიდან ბანკში ძალაში შევიდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

სფას 8, საოპერაციო სეგმენტები. სტანდარტი შეეხება იმ ორგანიზაციებს, რომელთა დავალიანება, თუ კაპიტალის ინსტრუმენტებით ვაჭრობა მიმდინარეობს საზოგადოებრივ ბაზარზე, ან ის ფაილი, ან იმყოფებიან ფაილინგის პროცესში. მათი ფინანსური ინსტრუმენტები მარეგულირებელ ორგანიზაციაშია რაიმე კლასის ინსტრუმენტის გამოსაშვებად საზოგადოებრივ ბაზარზე. **სფას 8** მოითხოვს ორგანიზაციისაგან ფინანსური და აღწერილობითი ინფორმაციის წარმოდგენას თავისი საოპერაციო სეგმენტისა და სპეციფიკის შესახებ და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა წარმოადგინოს ორგანიზაციამ ამგვარი ინფორმაცია. აღნიშნული სტანდარტი არ შეეხება ბანკს.

სფას 23, ნასესხები ხარჯები, გადასინჯული იქნა 2007 წლის მარტში. ძირითადი ცვლილება სასს 23- ში წარმოადგენს დაუყოვნებლივ აღიარების ვარიანტის გამორიცხვას, როგორც დანახარჯების სესხების ხარჯები, რაც დაკავშირებულია იმ აქტივებთან, რომლებსაც სჭირდებათ დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი საექსპოატაციოდ და გასაყიდად მოსამზადებლად. მის გამო, ორგანიზაციას მოეთხოვება მოახდინოს ამგვარი ნასესხები ხარჯების კაპიტალიზირება, როგორც აქტივების ღირებულება. განახლებული სტანდარტი შეეხება სამომავლო ნასესხებ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია საკვალიფიკაციო აქტივებთან, რომლისთვისაც კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის 2009 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ. სხვა სესხების ხარჯების აღიარება ხდება, როგორც დანახარჯი ევექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სფას 1, ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა, განახლებული 2007 წლის სექტემბერში. მთავარი ცვლილება სფას 1-ში, წარმოადგენს მოგება-ზარალის უწყისის შეცვლას სრული მოგების უწყისით, რომელიც მოიცავს ყველა არა-მფლობელის ცვლილებებს კაპიტალში, როგორცაა გასაყიდი ფინანსური აქტივების გადაფასებას. ალტერნატიულად, სუბიექტებს

ედღევანთ საშუალებას, წარმოედგინონ ცალკე მოგება-ზარალის უწყისი და სრული მოგების უწყისი. ბანკმა შეარჩია, წარმოედგინა სრული მოგების ცალკე უწყისი. შესწორებული სფას 1 აგრეთვე წარმოგვიდგენს მოთხოვნას, წარმოედგინოს იქნას ფინანსური მდგომარეობის უწყისი (საბალანსო უწყისი) შედარებითი პერიოდის დასაწყისში, რაც შეიძლება აღრე, როდესაც კი ობოექტი მოახდენს შედარებების განცხადებას რეკლასიფიცირებების გამო, ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში, ან შეცდომების შესწორებები. შესწორებულმა სფას 1-მა ზეგავლენა იქონია ბანკის ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენაზე, მაგრამ არ მოახდინა ზემოქმედება სპეციფიკური გარიგებებისა და ბალანსების აღიარებასა თუ შეფასებაზე.

შესწორება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებში სფას (მიღებულია 2008 წლის მაისში). 2008 წელს, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ გადაწყვიტა წამოეწყო ყოველწლიური შესწორებების პროექტი, როგორც მეთოდი აუცილებელი, მაგრამ არა სასწრაფო შესწორებების შესატანად საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებში. შესწორებები შედგება სხვადასხვა სტანდარტში შეტანილი არსებითი ცვლილებების, დაზუსტებისა და ტერმინოლოგიური შესწორებებისგან. არსებითი ცვლილებები შეეხება შემდეგ სფეროებს: კლასიფიცირება, როგორც განკუთვნილია სარეალიზაციოდ სფას 1-ის მიხედვით; სფას 16 აქტივების სარეალიზაციოდ გათვალისწინება, რომლებიც წინათ განკუთვნილი იყო არენდისათვის და კლასიფიცირება შესაბამისი ფულადი სახრების მიმოქცევა სფას 7-ის მიხედვით საოპერაციო საქმიანობებიდან; შემცირების განსაზღვრების განმარტება სფას 19-ის მიხედვით; საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბლა სამთავრობო სესხების გათვალისწინება სფას 20-ის მიხედვით; ასს 23-ში სესხების ხარჯების განსაზღვრება ეფექტური საპროცენტო მეთოდის შესაბამისად; იმ ფილიალების სარეალიზაციოდ გათვალისწინების განმარტება ასს 27-ისა და სფას 5-ის მიხედვით; შემცირებები გახსნის მოთხოვნებში, რაც დაკავშირებულია კომპანიონებთან და ერთობლივ საწარმოებთან ასს 28-ისა და ასს 38-ის მიხედვით; სამართლიანი ღირებულების განსაზღვრების შესწორება მოგება/ზარალის კატეგორიის მეშვეობით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს “ჰეჯ” აღრიცხვას ასს 39-ის მიხედვით; აღრიცხვის შემოღება საინვესტიციო ქონებისათვის ასს 40-ის შესაბამისად; და აკრძალვების შეზღუდვა ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის წესთან დაკავშირებით ასს 41-ის მიხედვით. შემდგომი შესწორებები, რომლებიც განხორციელდა ასს 8, 10, 18, 20, 29, 34, 40, 41-ში და სფას 7-ში, წარმოადგენს მხოლოდ ტერმინოლოგიურ, თუ სარედაქციო ცვლილებებს, რომლებსაც, როგორც ასს-ს სჯერა, არ გააჩნია მინიმალური ზეგავლენა აღრიცხვაზე. შესწორებებს ზემოქმედება არ მოუხდენია ბანკზე, გარდა:

▪ **სფას 16, ქონება, ქარხანა და დანადგარები (და შესაბამისი შესწორებები სფას 7-ში)**
შესწორებული სტანდარტების მიხედვით, ობიექტების, რომლებიც რუტინულად ახდენენ იმ აქტივების რეალიზაციას, რომლებიც წინათ განკუთვნილი იყო არენდისათვის, მოეთხოვებათ მოახდინონ ამგვარი აქტივების კლასიფიცირება, როგორც ინვენტარები იმ თვალსაზრისით, რომ აქტივების არენდით გაცემა წყდება და განკუთვნილია სარეალიზაციოდ, ხოლო რეალიზაციიდან ამონაგებები აღიარებულია, როგორც შემოსავალი. იჯარისა და რეალიზაციიდან ამონაგებების კლასიფიცირება უნდა მოხდეს, როგორც ფულადი სახრების მიმოქცევა საოპერაციო საქმიანობებიდან. ბანკმა შესაბამისად მოახდინა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესწორება.

5 ახალი სააღრიცხვო ინტერპრეტაციების შემოღება (გაგრძელება)

- **სფას 40, საინვესტიციო საკუთრება (და აქედან გამომდინარე შესწორებები სფას 16-ში).** საკუთრება, რომელიც მშენებლობის პროცესშია, ან ხდება მისი განვითარება მომავლი სარგებლობისათვის როგორც საინვესტიციო საკუთრება, შეტანილია შესწორებულ სფას 40-ში. შიდაც გამოიყენება სამართლიანი ღირებულების მოდელი, ამგვარი საკუთრების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით. იქ, სადაც მშენებლობის პროცესში მყოფი საინვესტიციო საკუთრების სამართლიანი ღირებულების შეფასება არასაიმედოდ ხდება, საკუთრება შეფასდება ღირებულებით მშენებლობის დასრულების უახლოეს თარიღამდე, ან იმ თარიღამდე, როდესაც სამართლიანი ღირებულება გახდება საომედლოდ შესაფასებელი. ბანკი იყენებს შესწორებას 2009 წლის 1 იანვრიდან.

ჩასადები ფინანსური ინსტრუმენტები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ლიკვიდაციიდან - სფას 32 და სფას 1 შესწორება. შესწორება მოითხოვს კლასიფიცირებას, როგორც ზოგოვანი ფინანსური ინსტრუმენტის აქტივი, რაც შეესაბამება ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრებას. შესწორებას ზემოქმედება არ მოუხდენია ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადაცემის პირობები და გაუქმებები - შესწორებები სასს 2- ში, აქციებზე დაფუძნებული გადახდები. შესწორებები განმარტავს, რომ მხოლოდ მომსახურების პირობები და საქმიანობის პირობები წარმოადგენენ გადაცემის პირობებს. აქციებზე დაფუძნებული გადახდის სხვა მახასიათებლები არ წარმოადგენენ გადაცემის პირობებს. შესწორებებში განსაზღვრულია, რომ გაუქმებებმა, ორგანიზაციის, თუ სხვა მხარეების მიერ, უნდა განიცადოს იგივე სახის საბუღალტრო დამუშავება. შესწორებები ზემოქმედებას ვერ მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სფას 13, კლიენტთა ლოიალურობის პროგრამები. სფას 13 განმარტავს, რომ როდესაც ხდება საქონლის, თუ მომსახურებების რეალიზაცია კლიენტის ლოიალურობის წახალისებასთან ერთად (მაგალითად, ლოიალურობის ქულები, ან უფასო პროდუქტები), შეთანხმება მოიცავს მრავალ ელემენტს და კლიენტისაგან მისაღები ყურადღება განთავსდება შეთანხმების კომპონენტებს შორის სამართლიანი ღირებულებების გამოყენებით. შესწორებას არ ჰქონია არანაირი მატერიალური ზეგავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IFRIC 15, ხელშეკრულებები უძრავი ქონების მშენებლობაზე. განმარტებები ეხება ანგარიშგებას იმ ორგანიზაციების მიერ გაწეული საშემოსავლო და მასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის, რომლებიც უძრავი ქონების მშენებლობას ახორციელებენ უშუალოდ ან ქვეკონტრაქტორების მეშვეობით და უზრუნველყოფენ იმ წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ უძრავი ქონების მშენებლობისათვის დადებული ხელშეკრულებების შესაბამისობას IAS 11 ან IAS 18 სტანდარტებთან. ასევე განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც უნდა აღიარონ კომპანიებმა შემოსავლები ასეთ ტრანზაქციებზე. შესწორებას არ ჰქონია არანაირი მატერიალური ზეგავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინვესტიციის ღირებულება შეიღობილ კომპანიაში, ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაში ან დაკავშირებულ კომპანიაში – საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი IFRS 1 და საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტი IAS 27-ის შესწორება. გაცემულია 2008 წლის მაისში. აღნიშნული ცვლილება IFRS-ზე პირველად გადასვლელ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ინვესტიციები შეიღობილ კომპანიაში, ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაში და დაკავშირებულ კომპანიაში სამართლიანი ღირებულებით ან ხარჯზე ორიენტირებული საბალანსო ღირებულებით. ეს ცვლილება ასევე მოითხოვს, რომ ინვესტიციის მიმღებთა მიერ შესაძენი წმინდა აქტივების განაწილების აღიარება მოხდეს მოგება-ხარჯის ანგარიშში და არა ინვესტიციების ამოღების ანგარიშში. აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესება - ცვლილება საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტ IFRS 7-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგინებები გაცემულია 2009 წლის მარტში. ეს ცვლილება მოითხოვს სამართლიანი ღირებულების შეფასებისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ გაუმჯობესებული ინფორმაციის წარდგენას. კომპანიას მოეთხოვება ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზის შესახებ ისეთი ინფორმაციის

მიწოდება, რომელიც გამოიყენებს სამართლიანი ღირებულების დადგენის სამ დონიან იერარქიას. ცვლილება: (ა) განმარტავს, რომ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი უნდა მოიცავდეს გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს გარანტიის მაქსიმალური მოცულობით იმ უმოკლეს ვადაში, როდესაც შესაძლებელია გარანტიის მოთხოვნა; და (ბ) მოითხოვს ინფორმაციას საწარმოო ფინანსური ინსტრუმენტების კონტრაქტით შეთანხმებული, გადახდის დარჩენილი ვადის შესახებ, თუკი ხელშეკრულებით შეთანხმებული ვადები არსებითად ფულადი სახსრების მოძრაობის ვადიანობის დასადგენად. კომპანია მომავალში ვალდებული იქნება წარადგინოს ინფორმაცია მისი ფინანსური აქტივების ვადიანობის შესახებ ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, თუკი ასეთი ინფორმაცია აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის ლიკვიდურობის რისკის ხასიათისა და მოცულობის შესაფასებლად. ბანკი ამჟამად განიხილავს ინფორმაციის წარდგენის ცვლილების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩაყოლებული წარმოებულები – შესწორებები სფას 9 და სფას 39-ში, გამოცემული 2009 წლის მარტში. შესწორებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივის რეკლასიფიცირებისას სამართლიანი ღირებულებიდან მოგება/ზარალის კატეგორიის საშუალებით, ყველა ჩაყოლებული წარმოებულები უნდა იქნას შეფასებული და, თუ აუცილებელია, ცალკე იქნას გათვალისწინებული. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 ახალი სააღრიცხვო ინტერპრეტაციების შემოღება (გაგრძელება)

IFRIC 16, წმინდა ინვესტიციების პეჯირება უცხოურ ოპერაციებში. განმარტებაში ახსნილია, თუ რომელი ვალუტის რისკის გამოვლენა ექვემდებარება პეჯირებით აღრიცხვას და ადგენს, რომ ფუნქციონალური ვალუტიდან სანგარიშგებო ვალუტაში გადაყვანა არ ქმნის იმ რისკის გამოვლენას, რომლის მიმართაც შესაძლებელია პეჯირების აღრიცხვის გამოყენება. IFRIC-ის მიერ დაშვებულია პეჯირების ინსტრუმენტის გამოყენება ჯგუფში შემავალი ნებისმიერი კომპანიის ან კომპანიების მიერ იმ უცხოური ოპერაციის გარდა, რომელიც უკვე პეჯირებულია. განმარტებაში ასევე ახსნილია, თუ როგორ ხდება სავალუტო ოპერაციების რეზერვიდან მოგება ან ზარალზე გადასვლის გამოთვლა პეჯირებული უცხოური ოპერაციების დასრულებისას. ანგარიშგაღებული კომპანიები გამოიყენებენ საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტს IAS 39 პეჯირების აღრიცხვის შესაჩერებლად მაშინ, როცა სავარაუდოდ მათი პეჯირება არ აკმაყოფილებს პეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს IFRIC 16-ის მიხედვით. IFRIC 16-ს არ აქვს არანაირი ზეგავლენა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (გამოცემული 2009 წლის ივლისში) წარმოადგენს ცალკე სტანდარტს, რომელიც მორგებულია შედარებით მცირე ბიზნესების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების აქტივების, ვალდებულებებისა, შემოსავლისა და ხარჯების აღიარებისა და შეფასებისათვის გამატივებული იქნა და რამდენიმე მოთხოვნილი გახსნები გამარტივებული იქნა და მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას იმ დაწესებულებების მიერ, რომლებიც აქვეყნებენ ზოგადი მიზნების ფინანსურ ანგარიშგებებს გარე მომხმარებლებისათვის და არ გააჩნიათ თავიანთი საბანკო საქმიანობის საჯარო ანგარიშგაღებულება.

თუ სხავგვარად არ მოხდა ზემოთ აღწერილის აღქმა, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო ინტერპრეტაციები

2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა ბანკის საანგარიშგებო პერიოდებისათვის და რომელიც ბანკს ადრე არ მიუღია:

IFRIC 17, არაფულადი აქტივების განაწილება მფლობელებზე (ცვლილება ძალაშია ყოველი წლის დასაწყისში 2009 წლის 1 იანვრიდან დაწყებული). ეს ცვლილება განმარტავს, თუ როდის და როგორ უნდა მოხდეს არაფულადი აქტივების, როგორც მფლობელებისათვის დივიდენდების განაწილების აღიარება. კომპანიამ ის ვალდებულება, რომელიც არაფულადი აქტივების სახით გადაეცემა მათ მფლობელებს, უნდა შეაფასოს გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით. განაწილებული არაფულადი აქტივების მოგება ზარალის აღიარება ხდება მას

შემდეგ, როდესაც კომპანია გადაიხდის გასაცემ დივიდენდებს. IFRIC 17 არ შეესაბამება ბანკის საქმიანობას, რადგან ადგილი არა აქვს არაფულადი აქტივების მფლობელებზე განაწილებას.

IFRIC 18, კლიენტებისგან მიღებული აქტივების გადაცემა (ცვლილება ძალაშია ყოველი წლის დასაწყისში ან 2009 წლის 1 ივლისის შემდეგ). განმარტებაში ახსნილია კლიენტებისგან მიღებული აქტივების გადაცემის აღრიცხვა, კერძოდ, ის გარემოებები, რომლებიც აკმაყოფილებს აქტივების განსაზღვრებას; აქტივის აღიარებას და მისი ღირებულების შეფასებას თავდაპირველი აღიარების დროს; ცალკეული იდენტიფიცირებადი მომსახურების გამორეკვევას (ერთი ან მეტი მომსახურება გადაცემული აქტივის სანაცვლოდ); შემოსავლის აღიარებას და კლიენტთა ფულადი თანხების გადარიცხვების აღრიცხვას. IFRIC 18 არ იქონიებს გავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

უფლებების საკითხების კლასიფიკაცია- შესწორება სასს 32-ში (გამოცემული 2009 წლის 8 ოქტომბერს; ცვლილება ძალაშია ყოველი წლის დასაწყისში 2010 წლის 1 თებერვლიდან დაწყებული ან მის შემდეგ). ცვლილება ფინანსურ წარმოებულებად კლასიფიცირებისაგან გაათავისუფლებს გარკვეულ უფლებებს აქტივების გამოშვებაზე იმ შემოსავლებით, რომლებიც გამოსატულია უცხოურ ვალუტაში. ანკი არ მოელის, რომ შესწორებული სტანდარტი მატერიალურ ზეგავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასს 27, კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგებანი (განახლებული 2008 წლის იანვარში; ძალაშია ერთწლიან პერიოდებში 2009 წლის 1 ივლისიდან, ან მის შემდგომ). განახლებული სასს 27 ორგანიზაციისაგან მოითხოვს, რომ შეიტანოს მთლიანი შემოსავალი საკონტროლო პაკეტის მფლობელებთან და არა-კონტროლირებად ინტერესებში (წინათ “უმცირესობის ინტერესები”), მაშინაც კი, თუ ამას შედეგად მოჰყვება არა-კონტროლირებადი ინტერესები, რომელსაც გააჩნია დეფიციტური ბალანსი (არსებული სტანდარტი მოითხოვს, რომ ზედმეტი ხარჯები უმეტეს შემთხვევებში განთავსებული იქნას საკონტროლო პაკეტის მფლობელებზე). განახლებული სტანდარტი განსაზღვრავს იმ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საკონტროლო პაკეტის მფლობელის ინტერესებში ფილიალში, ხოლო ის, რასაც შედეგად მოჰყვება კონტროლის გაკარგვა, უნდა ჩაითვალოს, როგორც კაპიტალის ტრანსაქციები. იგი აგრეთვე განსაზღვრავს, თუ ორგანიზაციამ როგორ უნდა შეაფასოს ნებისმიერი მოგება, თუ ზარალი, რაც გამომდინარეობს ფილიალის კონტროლის დაკარგვიდან. იმ დღეს, როდესაც კონტროლი იკარგება, ნებისმიერი ინვესტიცია, რომელიც შენარჩუნებულია ყოფილ ფილიალში, უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით. ამჟამად ბანკი შეაფასებს შესწორებული სტანდარტის ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

სფას 3, ბიზნეს კომბინაციები (განახლებული 2008 წლის იანვარში; ძალაშია იმ ბიზნეს კომბინაციებისათვის, რომლისთვისაც შესყიდვის თარიღს წარმოადგენს პირველი წლიური ანგარიშგების პერიოდში ან მის შემდეგ რომელიც იწყება 2009 წლის 1 ივლისს). განახლებული სფას 3 საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს, შეარჩონ არა-კონტროლირებადი ინტერესების შეფასება არსებული სფას 3-ის მეტოღით (შესასყიდი კომპანიის დასადგენი წმინდა აქტივების პროპორციული წილი), (სამართლიანი ღირებულებით). განახლებული სფას 3 უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული, რომელიც გვაძლევს მითითებებს შესყიდვის მეტოდის გამოყენებასთან დაკავშირებით ბიზნეს კომბინაციებში. მოთხოვნა ყველა აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებით სამართლიანი ღირებულებით თითოეულ ეტაპზე, ეტაპობრივი შესყიდვისას გუდვილის ნაწილის გამოთვლის მიზნით, გაუქმებული იქნა. ამის სანაცვლოდ, გუდვილი შეფასდება, როგორც შექმნის დღეს არსებული სხვაობა შექმნამდე არსებულ ნებისმიერ ბიზნესის ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებასა და შექმნილ წმინდა აქტივებს შორის. შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებული იქნება ცალკე ბიზნეს კომბინაციისაგან და ამის გამო აღიარებულია, როგორც ხარჯები და არა გუდვილში შეტანილი. შემსყიდველმა შექმნის დღეს უნდა აღიაროს ვალდებულება ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შესყიდვების კომპენსაციაზე. იმ ვალდებულების ღირებულებაში ცვლილება შექმნის თარიღის შემდგომ აღიარებული იქნება სხვა სფას-ებში, საჭიროებისდა მიხედვით, და არა გუდვილის შეწორებით. განახლებული სფას 3-ში შედის ბიზნეს კომბინაციები, რომლებიც მიღწეულია მხოლოდ კონტრაქტით. ბანკი ამჟამად ახდენს შეფასებას ინისა, თუ რა ზემოქმედებას არ მოახდენს შესწორებული სტანდარტები ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესაფერისი პეჯირებული პუნქტები – შესწორება სასს 39-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება ძალაშია რეტროსპექტული გამოყენებით ყოველწლიურად 2009 წლის 1 ივლისიდან) შესწორება განმარტავს თუ ის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს, რომ ჰეჯირებული რისკი

ან ფულასი სახსრების მიმოქცევის ნაწილი რამდენად შეეფერება დანიშნულებას და გამოყენებული უნდა იქნას იგი, თუ არა გააკვეთულ სიტუაციებში. აღნიშნული შესწორებებს არ გააჩნიათ რაიმე ზემოქმედება ბანკის ფინანსურ უწყისებზე, რამეთუ ბანკი არ იყენებს ჰეჯირებულ აღრიცხვას.

სფას 1, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება (2008 წლის დეკემბერში გაკეთებული შესწორებების შემდეგ, ძალაშია პირველი სფას 1-სათვის იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება 2009 წლის 1 ივლისს). შესწორებული სფას 1 ინარჩუნებს თავისი წინა ვერსიის არსს, მაგრამ შეცვლილ სტრუქტურაში, იმისათვის, რომ უფრო გამარტივდეს მკითხველისათვის და გასაგები გახდეს და უკეთესად განახორციელოს მომავალი ცვლილებები. ბანკმა დაასკვნა, რომ შესწორებულ სტანდარტებს არავითარი ზემოქმედება არ გააჩნიათ თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ჯგუფის ფულადი ანგარიშსწორებითი, აქციაზე დამყარებული საანგარიშსწორებო ტრანსაქციები – შესწორებები სფას 2-ში, აქციაზე დამყარებული ანგარიშსწორება (ძალაშია ერთწლიან პერიოდებში, რომლებიც იწყება 2010 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ). შესწორებები უზრუნველყოფს ნათელ საფუძველს იმისათვის, რომ განესაზღვროთ აქციაზე დამყარებული ანგარიშსწორების ანაზღაურების კლასიფიკაცია როგორც ნაერთ, ასევე ცალკე ფინანსურ ანგარიშგებებში. შესწორებები, რომლებიც შეტანილია სტანდარტულ მითითებებში სფას 8 და სფას 11-ში, გაუქმებულია. შესწორებები ვრცელდება მითითებაზე, რომელიც მოცემულია სფას 11-ში, რათა გადაჭრას ის გეგმები, რომლებიც ადრე არ იქნა გათვალისწინებული ინტერპრეტაციაში. შეწესწორებები ასევე განმარტავს გადასაზღვრულ ტერმინებს სტანდარტების დანართში. ბანკმა დაასკვნა, რომ შესწორებულ სტანდარტებს არავითარი ზემოქმედება არ გააჩნიათ თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

დამატებითი შეღავათები პირველად დამტკიცებულებისათვის – შესწორებები სფას 1-ში, სფას-ს მიღება პირველად (ძალაშია ერთწლიან პერიოდებში, რომლებიც იწყება 2010 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ). შესწორებები ათავისუფლებს იმ პირებს, რომლებიც იყენებენ სრული ღირებულების მეთოდს, სფას-ების რეტროსპექტული გამოყენებისაგან ნავთობისა და გაზის აქტივებისაგან და, აგრეთვე, ათავისუფლებს პირებს არსებული სალიზინგო კონტრაქტებით, ამ კონტრაქტების კლასიფიკაციის ხელახლა შეფასებისაგან, **ფასს 4-ის** შესაბამისად, “იმის განსაზღვრა, თუ შეთანხმება შეიცავს იჯარას”, როდესაც მათი სახელმწიფო საბილალტრო აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენება მოგვცა თუ არა იგივე შედეგი. შესწორებულ სტანდარტებს არავითარი ზემოქმედება არ ექნებათ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 ახალი სააღრიცხვო ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესება - ცვლილება საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებში (გამოშვებული 2009 წლის აპრილში: შესწორებები სფას 2, სფას 38, სფას 9 და სფას 16 –ში ძალაშია ერთწლიან პერიოდებში, რომლებიც იწყება 2009 წლის 1 ივლისს, ან მის შემდეგ; ცვლილებული სფას 5, სფას 8, სფას 1, სფას 7, სფას 17, სფას 36 და სფას 39–ში ძალაშია ერთწლიან პერიოდებში, რომლებიც იწყება 2010 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ).

შესწორებები მოიცავს არსებითი ცვლილებებისა და განმარტებების ნარევეს შემდეგ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში: განმარტება იმისა, რომ ბიზნესების წვლილი საერთოდ კონტროლირებად ტრანსაქციებში და ერთობლივი საწარმოების შექმნაში, არ შეესაბამება სფას 2-ს. გახსნის მოთხოვნების კლასიფიცირების განმარტება, რომლებიც ჩამოყალიბებულია სფას – ისა და არა-მიმდინარე აქტივების სხვა სტანდარტების მიერ, კლასიფიცირებულია, როგორც განკუთვნილი გასაყიდად, ან შეწყვეტილი ოპერაციები; მოითხოვს საერთო აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის ანგარიშგებას თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის სფას 8-ს მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი თანხები რეგულარულად წარედგინება მთავარი საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღებს; ფასს 1-ის შესწორება, რათა იევეს გარკვეული ვალდებულებების კლასიფიცირების საშუალება, რომლებიც გასწორებულია პირის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტით, როგორც არა-მიმდინარე; ფასს 7-ის შეცვლა ისე, რომ მხოლოდ ის დანახარებები, რომლებაც შედეგად მოჰყვება აღიარებული აქტივები, შეესაბამება კლასიფიცირებას როგორც საინვესტიციო საქმიანობები; რაც საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ გარკვეული გრძელვადიანი მიწის იჯარების კლასიფიცირება, როგორც ფინანსური იჯარები ფასს 17-ის შესაბამისად მიწის საკუთრების გადაცემის გარეშე კი იჯარის ვადის

ბოლოს; რომელიც უზრუნველყოფს დამატებით მითითებებს ფასს 18-ში იმის განსაზღვრისათვის, თუ პირი მოქმედებს, როგორც მარწმუნებელი, თუ რწმუნებულად; კლასიფიცირება ფასს 36-ში, რომ ფულის შემომტანი ობიექტი არ უნდა იყოს უფრო ღირს, ვიდრე საოპერაციო სეგმენტი გაერთიანებამდე; ფასს 38-ის დამატება, რაც შეეხება არამატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებას, რომლებიც შექმნილი იქნა ბიზნეს კომბინაციით; ფასს 39(i) –ის შესწორება მასზე, რომ იგი მოიცავდეს ოფციონალურ კონტრაქტებს, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ბიზნეს კომბინაციები; (ii) რათა განმარტებული იქნას მოგება/ზარალის რეკლასიფიცირების პერიოდი წლისათვის და (iii) იმის განცხადება, რომ წინსწრებით გადახდის ვარიანტი მჭიდროდ არის დაკავშირებული მომდები მხარის კონტრაქტთან, თუ გამოყენებისთანავე მსესხებელი გამსესხებელს აუნაზღაურებს ეკონომიკურ ზარალს; ფასს 9-ის შესწორება, რათა მასში ნათქვამი იყოს, რომ კონტრაქტში ნაყოლებული წარმოებულები, რომლებიც შექმნილი იქნა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ტრანსაქციებისას და ერთობლივი საწარმოების შექმნა არ შედის ამ მოცულობაში; ასევე შეზღუდვის მოხსნა ფასს 16-ში, მასზე, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტები შეიძლება არ იქნას გამოყენებული უცხოურ ოპერაციაში, რაც თავისთავად ჰეჯირდება. ბანკი ბანკმა დაასკვნა, რომ შესწორებულ სტანდარტებს არავითარი ზემოქმედება არ გააჩნიათ თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორება ფასს 24 –ში, დაკავშირებული მხარის გახსნები (გამოცემული 2009 წლის ნოემბერში ძალაშია ერთწლიან პერიოდებში, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ). სასს 24 განახლებული იქნა 2009 წელს (ა) დაკავშირებული მხარის განსაზღვრების გამარტივებით, მისი მნიშვნელობის განმარტებით და შეუსაბამობების აღმოფხვრით; ასევე (ბ) ნაწილობრივი გათავისუფლების უზრუნველყოფით გახსნის მოთხოვნებთან დაკავშირებით მთავრობასთან დაკავშირებული პირებისათვის. ბანკი ამჟამად ახდენს შესწორებულ სტანდარტის ზემოქმედების შეფასებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 9, ფინანსური ინსტრუმენტები ნაწილი 1: კლასიფიკაცია და შეფასება. ფასს 9 გამოიცა 2009 წლის ნოემბერში და იგი ცვლის სასს 39-ის იმ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან. ძირითადი მახასიათებლები შემდეგში მდგომარეობს:

- ფინანსური აქტივების კლასიფიცირება უნდა მოხდეს ორ შეფასებით კატეგორიაში: ისინი, რომელთა შემდგომი შეფასებაც უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით და ისინი, რომელთა შეფასებაც უნდა მოხდეს შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით. გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საწყისი აღიარებით. კლასიფიკაცია დამოკიდებულია პირის ბიზნეს მოდელზე თავისი ფინანსური ინსტრუმენტების სამართავად და ინსტრუმენტის საკონტრაქტო ფულადი სახსრების მიმოქცევის მახასიათებლებზე.
- ინსტრუმენტის შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დავალიანების ინსტრუმენტს და ორივეს (i) პირის ბიზნეს მოდელის მიზანი არის ის, რომ შეინახოს აქტივი, რათა ამოიღოს საკონტრაქტო ფულადი სახსრების მიმოქცევა, და (ii) აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მიმოქცევა წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხებისა და პროცენტების დაფარვებს (რაც იმას ნიშნავს, რომ მას მხოლოდ გააჩნია “სესხის ძირითადი თავისებურებები”). ყველა სხვა ვალის ინსტრუმენტების შეფასება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- კაპიტალის ყველა ინსტრუმენტი შემდგომში შეფასებული უნდა იქნას სამართლიანი ღირებულებით. კაპიტალის ის ინსტრუმენტები, რომლებიც შენარჩუნებულია ვაჭრობის მიზნით შეფასებული იქნება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით. კაპიტალის ყველა სხვა ინვესტიციებისათვის, შეიძლება გაკეთებული იქნას გამოუთხოვარი არჩევანი საწყისი აღიარებისას, რათა რეალიზებული და არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალის აღიარება მოხდეს სხვა საოპერაციო მოგების საშუალებით, გარდა მოგება-ზარალისა. არ უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულების მოგება-ზარალის ხელახლა გამოყენება. ეს არჩევანი შეიძლება გაკეთებული იქნას ინსტრუმენტ-ინსტრუმენტის საფუძველზე. დივიდენდები წარმოადგენილი უნდა იქნას მოგება-ზარალში, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ამონაგებს ინვესტიციიდან.
- მაშინ, როდესაც ფასს 9-ს მიღება სავალდებულოა 2013 წლის 1 იანვრიდან, უფრო ადრე მიღება ნებადართულია.

სს “ეორ სტანდარტ ბანკი”

შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე -31 დეკემბერი 2009 წ.

ბანკი ითვალისწინებს სტანდარტის შედეგებს, მის ზემოქმედებას ბანკზე და მისი მიღების დროულობაზე ბანკის მიერ. თუ სხვაგვარად არ იქნა აღწერილი ზემოთ, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ უნდა ახდენდნენ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ფული და ფულადი ექვივალენტები

<i>ათასი ლარი</i>	2009	2008
ნაღდი ფული სალაროში	18,445	11,087
შესაბამისი ანგარიშები და სხვა ბანკებთან განხორციელებული ერთ დღიანი განთავსებები	1,950	12,413
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში დაფარვის სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით	2,423	11,798
ფულადი ნაშთები სებ-თან (სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების გარდა)	10,697	2,522
ფული და ფულადი ექვივალენტები სულ	33,515	37,820

ნაღდი ფულისა და ფულადი ექვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ფულადი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს “ფიტინგის რეიტინგის” საფუძველზე 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად:

<i>ათას ლარში</i>	ფულადი ნაშთები სებ-თან სავალდებულო რეზერვების გამორიცხვით	შესაბამისი ანგარიშები და ერთ დღიანი განთავსებები	სხვა ბანკებში განთავსება	სულ
<i>არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული</i>				
- საქართველოს ეროვნული ბანკი	10,697			10,697
- BB რეიტინგით		1,950	2,423	4,373
ფული და ფულადი ექვივალენტები სულ	10,697	1,950	2,423	15,070

სს “ეორ სტანდარტ ბანკი”

შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე -31 დეკემბერი 2009 წ.

ფულადი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს “ფიტჩ რეიტინგის” საფუძველზე 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად:

ფულადი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს “ფიტჩ რეიტინგის” საფუძველზე 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად:

<i>ათას ლარში</i>	ფულადი ნაშთები სებ-თან საველდებულო რეზერვების გამორიცხვით	შესაბამისი ანგარიშები და ერთ დღიანი განთავსებები	სხვა ბანკებში განთავსება
<i>არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული</i>			
- საქართველოს ეროვნული ბანკი	2,522	-	-
- AA- დან AA+ -მდე რეიტინგით	-	57	-
- A- დან A+ -მდე რეიტინგით	-	39	-
- A-ს ქვემოთ რეიტინგით	-	12,095	11,798
- ურეიტინგო	-	222	-
ფული და ფულადი ექვივალენტები სულ	2,522	12,413	11,798

სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები

<i>ათასი ლარი</i>	2009	2008
კორპორატიული სესხები	72,552	25,639
სალომბარდო სესხები	41,891	37,170
კერძო პირებზე გაცემული სესხები – სამომხმარებლო სესხები	16,915	18,436
იპოთეკური სესხები	9,677	5,670
კერძო პირებზე გაცემული სესხები – მეწარმეები	6,949	512
მინუს: სესხის გაუფასურების რეზერვები	(10,831)	(2,699)
სულ სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები	137,153	84,728

8 სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები (გაგრძელება)

კრედიტების გაუფასურების რეზერვის ბრუნვა 2009 წლის განმავლობაში შემდეგია:

ათასი ლარი	კორპორატიული	კერძო პირებზე გაცემული სესხები-სამომხმარებლო სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები – მეწარმეები	იპოთეკური სესხები	სალომბარდო სესხები	სულ
სესხის გაუფასურების რეზერვები 2009 წლის 1 იანვრისათვის	1,580	990	28	101	-	2,699
გაუფასურებისათვის წლის განმავლობაში	4,482	1,181	2,104	365	-	8,132
სესხის გაუფასურების რეზერვები 2009 წლის 31 დეკემბრისათვის	6,062	2,171	2,132	466	-	10,831

კრედიტების გაუფასურების რეზერვის ბრუნვა 2008 წლის განმავლობაში შემდეგია:

ათასი ლარი	კორპორატიული	კერძო პირებზე გაცემული სესხები-სამომხმარებლო სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები – მეწარმეები	იპოთეკური სესხები	სალომბარდო სესხები	სულ
სესხის გაუფასურების რეზერვები 2008 წლის 31 დეკემბრისათვის	1,580	990	28	101	-	2,699
სესხის გაუფასურების რეზერვები 2008 წლის 31 დეკემბრისათვის	1,580	990	28	101	-	2,699

ეკონომიკის სექტორის რისკის კონცენტრაცია კლიენტის საკრედიტო პორტფელში შემდეგია:

ათასი ლარი	2009		2008	
	თანხა	%	თანხა	%
ვაჭრობის და მომსახურების სექტორი	56,788	38.37	21,197	24.25
კერძო პირებზე გაცემული სალომბარდო სესხები	41,891	28.31	37,170	42.52
კერძო პირები	26,120	17.65	18,653	21.34
ენერჯო სექტორი	10,270	6.94	3,909	4.47
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების წარმოება	4,782	3.23	1,810	2.07
ტრანსპორტის / კომუნიკაციების სექტორი	3,671	2.48	3,583	4.09
სამშენებლო სექტორი	24	0.02	80	0.09
სხვა სექტორები	4,438	3	1,025	1.17
სულ სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები (გაუფასურებამდე)	147,984	100	87,427	100

ინფორმაცია სესხების უზრუნველყოფის შესახებ 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	სალომბარდო სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები-სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	სესხები მეწარმეებზე	სულ
დაუზღვეველი სესხები	10,734			4,6		
სესხები შემდეგი უზრუნველყოფით:						
ძვირფასი ლითონები	-	41,89				
კომერციული ფართი	52,790					
მესამე პირის თავდებობა	2,525			4		
საცხოვრებელი ფართი	-			2,0		
ფულადი ანაბრები	5,996			2,9		
მიწა	135					
მოდრავი ქონება	347			3,0		
სხვა აქტივები	25					
საელფასო პროექტები	-			3,8		
სულ სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები	72,552	41,89	16,9			1

ინფორმაცია სესხების უზრუნველყოფის შესახებ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით შემდეგია:

8 სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები (გაგრძელება)

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	სალომბარდო სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	სესხები მეწარმეებზე	სულ
დაუზღვეველი სესხები	3,565	-	4,53			
სესხები შემდეგი უზრუნველყოფით:						
ძვირფასი ლითონები	-	37,170				
კომერციული ფართი	14,163	-	42	1,		
მესამე პირის თავდებობა	3,814	-	2,90	1,		
საცხოვრებელი ფართი	1,270	-	4,25	2,		
ფულადი ანაბრები	774	-	2,51			
მიწა	2,004	-	78			
მოდრავი ქონება	21	-	1,29			
სხვა აქტივები	28	-				
საელფასო პროექტები	-	-	1,72			
სულ სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები	25,639	37,170	18,43	5,		

ანალიზი მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	სამომხმარებლო სესხები	სესხები მეწარმეებზე	იპოთეკური სესხები	სალომბარლო სესხები	სულ
<i>არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული</i>						
2,000- მდე	-	3,011	5	-	1	3,017
2,000- დან 10,000- მდე	24	3,623	663	193	-	4,503
10,000 - დან 20,000- მდე	83	1,611	843	382	1	2,922
20,000- დან 50,000- მდე	570	2,244	904	1,258	99	5,075
50,000 - დან 100,000- მდე	1,659	1,574	685	2,404	922	7,244
100,000 - დან 500,000- მდე	11,887	1,954	1,261	3,696	18,126	36,924
500,000 - დან 1,000,000- მდე	4,644	631	-	952	5,708	11,935
1,000,000- ს ზემოთ	29,669	-	-	-	17,034	46,703
- 2008 წელს გადახდილი სესხები	-	3	-	-	-	3
სულ არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	48,536	14,651	4,361	8,887	41,891	118,326
<i>ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული</i>						
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	10,914	99	14	-	-	11,027
- 30 -დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	-	4	8	-	-	12
სულ არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	10,914	104	21	-	-	11,039
<i>სესხები, ინდივიდუალურად განსაზღვრული, როგორც გაუფასურებული (მთლიანი)</i>						
-ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	2,815	676	204	134	-	3,829
-30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	-	51	14	40	-	105
- - 30 -დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	2,640	116	156	88	-	3,000
-91 -დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	4,915	165	152	103	-	5,335
- 181 -დან 360 დღემდე	1,301	646	97	306	-	2,350
-360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	1,431	507	1,943	119	-	4,000
სულ ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული	13,102	2,161	2,566	790	-	18,619
მინუს გაუფასურების რეზერვები	6,062	2,171	2,132	466	-	10,831

სს “ეორ სტანდარტ ბანკი”
შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე -31 დეკემბერი 2009 წ.

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	სამომხმარებლო სესხები	სესხები მეწარმეებზე	იპოთეკური სესხები	სალომბარ ლო სესხები	სულ
სულ სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები	66,490	14,744	4,817	9,211	41,891	137,153

8 სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები (გაგრძელება)

ანალიზი მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2008 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	სამომხმარებლო სესხები	სესხები მეწარმეებზე	იპოთეკური სესხები	სალომბარდო სესხები	სულ
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული						
2,000- მდე		3,512	1	-		
2,000- დან 10,000- მდე	26	4,642	13	62		
10,000 - დან 20,000- მდე	90	2,081	66	215		
20,000- დან 50,000- მდე	342	2,401	80	1,085		
50,000 - დან 100,000- მდე	1,338	1,712	205	1,488		
100,000 - დან 500,000- მდე	2,627	1,871	130	653		1
500,000 - დან 1,000,000- მდე	1,190	-	-	1,048		
1,000,000- ს ზემოთ	9,254	-	-	1,013		1
- 2008 წელს გადახდილი სესხები	3,835	7	-	-		
სულ არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	18,703	16,226	495	5,564		3
ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული						
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	77	360	-	-		
- 30 -დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	36	201	3	17		
- 91 -დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	54	330	-	-		
- 181 -დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	81	394	-	-		
სულ ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული	248	1,285	17	17		
ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებული სესხები (მთლიანი)						
- არცერთი ვადაგადაცილებული დღე	5,089	-	-	-		
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	246	350	-	-		
- 30 -დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	331	-	-	-		
- 91 -დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	-	-	-	91		
- 181 -დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	1,040	555	-	-		

სს “ეორ სტანდარტ ბანკი”

შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე -31 დეკემბერი 2009 წ.

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	სამომხმარებლო სესხები	სესხები მეწარმეებზე	იპოთეკური სესხები	სალომბარდ ო სესხები	სულ
სულ ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებული სესხები	6,706	905	-	91		
მინუს გაუფასურების რეზერვები	(1,580)	(990)	(28)	(101)		
სულ სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები	24,077	17,426	484	5,571		3

ბანკმა გამოიყენა პორტფელის რეზერვების მეთოდოლოგია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 39-ის მიხედვით (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) და შექმნა პორტფელის რეზერვები გაუფასურებით მიღებული დანაკარგისთვის, რომელთა დარიცხვაც განხორციელდა, თუმცა არ მომხდარა მათი იდენტიფიცირება ინდივიდუალურ სესხთან მიმართებაში საბალანსო უწყისის თარიღისათვის. ბანკის პოლიტიკის მიხედვით თითოეული სესხის კლასიფიცირება უნდა მოხდეს, როგორც “არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული” მანამ, სანამ არ მოხდება სესხის გაუფასურების რეალური საფუძვლის დადგენა. ამ პოლიტიკისა და პორტფელის გაუფასურების მეთოდოლოგიის გატარების შედეგად.

უპირველესი ფაქტორები, რასაც ბანკი ითვალისწინებს იმის განსაზღვრისათვის, რომ სესხი გაუფასურებულია თუ არა მისი ვადაგადაცილებული სტატუსის გამო და შესაბამისი გირაოს მიზანშეწონილობა, თუ ასეთი არსებობს. ამის შედეგად, ბანკი ზემოთ წარმოგიდგენს იმ სესხების ვადიანობის ანალიზს, რომლებიც ინდივიდუალურად განისაზღვრება, როგორც გაუფასურებული.

8 სესხები და კლიენტებზე გაცემული ავანსები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება ვადაგადაცილებულ, მაგრამ არაგაუფასურებულ სესხებთან დაკავშირებით და ინდივიდუალურად განხილულ გაუფასურებულ სესხებთან მიმართებაში 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები- სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები - მეწარმეები	სულ
უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება - ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული სესხები					
- კომერციული ფართი	59,505	-	137	-	
მესამე პირის თავდებობა	1,222	-	-	-	
სახელფასო პროექტი	-	2	-	-	
უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება - ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებელი სესხები					
- საცხოვრებელი ფართი	-	249	-	-	249
- კომერციული ფართი	24,950	-	-	1,358	29,74
			3,440		8

სს “ეორ სტანდარტ ბანკი”

შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე -31 დეკემბერი 2009 წ.

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები- სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები – მეწარმეები	სულ
- მოძრავი ქონება	798	185	83	-	1,067
მესამე პირის თავდებობა	3,244	95	26	-	3,345
სახელფასო პროექტი	-	56	-	-	56
სულ	89,699	588	3,685	1,358	95,330

საცხოვრებელი უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს განგარიშებული იყო იმ ღირებულებების ინდექსირებით, რომლებიც განისაზღვრებოდა ჯგუფის შიდა საკრედიტო განყოფილების პერსონალის მიერ სესხის საწყის ეტაპზე საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების საშუალო ზრდისათვის ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით. სხვა უძრავი ქონებისა და აქტივების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრებოდა ჯგუფის საკრედიტო განყოფილების მიერ ჯგუფის შინაგანი ღირებულებების გამოყენებით.

უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება ვადაგადაცილებულ, მაგრამ არაგაუფასურებულ სესხებთან დაკავშირებით და ინდივიდუალურად განხილულ გაუფასურებულ სესხებთან მიმართებაში 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები- სამომხმარებ ლო სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები – მეწარმეები	იპოთეკური სესხები	სულ
<i>უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება – ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული სესხები</i>					
- საცხოვრებელი ფართი				17	360
- კომერციული ფართი				-	111
- მოძრავი ქონება				-	53
- მესამე პირის თავდებობა				-	164
- სახელფასო პროექტი				-	142
<i>უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება – ვადაგადაცილებუ ლი მაგრამ არა გაუფასურებული სესხები</i>					
- კომერციული ფართი	6,0			-	6,044
- საცხოვრებელი				91	646

სს “კორ სტანდარტ ბანკი”

შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე-31 დეკემბერი 2009 წ.

ათასი ლარი	კორპორატიული სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები- სამომხმარებ ლო სესხები	კერძო პირებზე გაცემული სესხები მეწარმეები	პირებზე - -	იპოთეკური სესხები	სულ
ფართი						
- მიწა	4				-	795
სულ	6,9	2			108	9,280

არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, მაგრამ ხელახლა განხილული სესხები წარმოდგენილია მათი საბალანსო ღირებულებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში იქნებოდა ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული. ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხები მოიცავს უზრუნველყოფილ სესხებს, სადაც უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება ფარავს როგორც ვადაგადაცილებული სესხის ძირს, ასევე საპროცენტო სარგებელს. თანხა, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული, მოიცავს სესხის საერთო ნაშთს და არა იმ ცალკეულ გადახდებს, რომლებიც ვადაგასულია.

კლიენტებზე გაცემული ავანსებისა და სესხების თითოეული ტიპის შეფასებითი ღირებულების დასადგენად იხილეთ 28-ე შენიშვნა. სესხებისა და კლიენტებზე გაცემული ავანსების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 25-ე შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ბალანსებზე მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

საინვესტიციო ქონება

ათასი ლარი	2009	2008
საინვესტიციო ქონების ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	10,874	-
საკუთრებაში გადაცემა, ქარხანა და დანადგარები	11 (10,874)	-
დამატებები	-	5,240
დამატებები ბიზნეს კომბინაციებიდან	-	5,984
საამორტიზაციო ანარიცხები	-	(168)
გაუფასურება წლის განმავლობაში	-	(182)
საინვესტიციო ქონების თვითღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	10,874

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საინვესტიციო ქონებაში შედიოდა ორი შენობა. 2009 წელს მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ შენობებს გამოიყენებდა საკუთარი საბანკო მომსახურებებისათვის. ამრიგად, აღნიშნული შენობები რეკლასიფიცირებული იქნა საკუთრებად, ქარხანად და დანადგარებად, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10. გუდვილი

ცვლილებები გუდვილში ს.ს. სტანდარტ ბანკის შექმნასთან დაკავშირებით 2009 წელს შემდეგში მდგომარეობს:

ათასი ლარი	2009	2008
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრისათვის	20,374	
გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრისათვის	20,374	20,374

გუდვილის გაუფასურების ტესტი

სს “კორ სტანდარტ ბანკი”

შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე-31 დეკემბერი 2009 წ.

ბანკი ამჟამად წარმოადგენს ს.ს. “სტანდარტ ბანკის” დაწესებული ბიზნესის გაგრძელებას და ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განიხილება, როგორც ფულადი სახსრების გენერირების ერთეული.

მენეჯმენტის აზრით, ბანკის შესყიდვაზე გაწეული ინვესტიცია თანხვედრაშია აქციონერთა გრძელვადიანი გაფართოების სტრატეგიასთან რეგიონში და ს.ს. სტანდარტ ბანკის შესაძენად გადახდილი დამატებითი თანხა ეკონომიკური სარგებლის მომტანია მომავალში ხუთი წლის შემდეგ პერიოდში. შესაბამისად, ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის ანაზღაურებადი თანხა განსაზღვრულ იქნა სამომხმარებლო ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. ამ გამოთვლაში გამოიყენება ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი, რომელიც ემყარება ბანკის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტს და რომელიც მოიცავს 10 წლიან პერიოდს. ბანკის გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფულადი სახსრების გენერირების ერთეული ფულადი სახსრების გენერირებას მოახდენს ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ფულადი სახსრების მოძრაობის ექსტრაპოლირება ხუთი წლის შემდეგ პერიოდზე ხდება შემოსავლების მუდმივი 9%-იანი ზრდის გათვალისწინებით.

ზრდის ზემოაღნიშნული ოდენობა არ აჭარბებს საშუალო გრძელვადიანი ზრდის ოდენობას იმ ბიზნეს სექტორისთვის, რომელშიც ფულადი სახსრების გენერირების ერთეული საქმიანობს.

სამომხმარებლო ღირებულების დასადგენად გამოყენებული დაშვებები, რომელთა მიმართაც ანაზღაურებადი თანხა ყველაზე მგრძობიარე იყო წარმოდგენილია ქვემოთ:

	2009	2008
ზრდის კოეფიციენტი ხუთი წლის განმავლობაში	20% p.a.	20% p.a.
ზრდის კოეფიციენტი ხუთი წლის ზემოთ	9% p.a.	20% p.a.
დისკონტირების კოეფიციენტი დაბეგვრამდე	11% p.a.	9% p.a.

ბანკის მენეჯმენტმა ბიუჯეტირებული მთლიანი მოგება განსაზღვრა წარსულში განხორციელებულ საქმიანობასა და ბაზრის სამომავლო ანალიზის საფუძველზე. ზრდის საშუალო შეწონილი კოეფიციენტი შეესაბამება სექტორულ კვლევებში მოცემულ პროგნოზებს.

დისკონტირების კოეფიციენტები გამოყენება გადასახადების გადახდამდე და ასახავს ფულადი სახსრების გენერირების ერთეულთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს.

11. შენობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები

	შენიშნა	შენობები	კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობა	ავტოტრანსპორტი	ავეჯი, ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
<i>ათასი ლარი</i>							
ბიზნესკომბინაციებით განხორციელებული შესყიდვები		778	2,071	650	3,602	5,784	12,885
დამატებები		-	229	371	167	216	983
რეალიზაცია		-	-	(43)	(49)	-	(92)
რეალიზაცია, დაგროვილი ცვეთა		-	-	10	-	-	10
ცვეთის ღირებულება	23	(13)	(441)	(139)	(735)	(814)	(2,142)
საბალანსო ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბრისათვის		765	1,859	849	2,985	5,186	11,644
გადაფასების ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბრისათვის							13,776
დაგროვილი ამორტიზაცია		778	2,300	978	3,720	6,000	(2,132)
		(13)	(441)	(129)	(735)	(814)	
საბალანსო ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბრისათვის		765	1,859	849	2,985	5,186	11,644
დამატებები			13	23	364	123	523
გადარიცხვა საინვესტიციო ქონებიდან	9	10,874	-	-	-	-	10,874
რეალიზაციები			(11)	(7)	(284)	(570)	(872)
რეალიზაციები, დაგროვილი ცვეთა			11	7	165	166	349
ცვეთის დანარიცხი	23	(473)	(568)	(240)	(939)	(1027)	(3,247)
